გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N28 (9208) 11 ოქტომბერი . 2016 წელი ფასი 50 თეთრი

## სვეტიცხოვლობას გილოცავთ!

## რუსთაველის ქუჩაზე „ქართულმა ოცნებამ" გრიგოლ მიქელაძის გამარჯვება იზეიმა



2

## ახლანდელი ოთხი წელი, ჩვენი ოთხი წელი იქნება!

4



6

მიხეილ გიორგაძემ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა

## „მადლი ქენი ხმა მიეცი, გაიარე წინ დაგხვდება"

8



5

## ხმის მიცემა სერიოზული დარღვევების გარეშე

## „ნუ ესვრი წარსულს დამბაჩას..."

7



## ნყნარი, მშვიდი, სტაბილური საარჩევნო გარემო



3

## ახალსოფლის ბორანი აღდგენილია

6

## მთავარი ისაა, რაც ამიერიდან უნდა მოხდეს

2

# რუსთაველის ქუჩაზე "ქართულმა ოცნებამ" გრიგოლ მიქელაძის გამარჯვება იზეიმა

ნინო ნანიტაშვილი

***"ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბში, გამარჯვების რწმენით, გრიგოლ მიქელაძის მხარდამჭერებმა შეკრება საღამოს რვა საათზე, საარჩევნო უბნების დახურვისთანავე დაიწყეს.***

***ორ ნაწილად გაყოფილი გულშემატკივრები გამოცხადებული ეგზიტპოლების მონაცემებს დიდ მონიტორზე სხვადასხვა ტელევიზიების ეთერებიდან ისმენდნენ. ასაკოვნები დინჯად, ახალგაზრდები კი ემოციურად ადევნებდნენ თვალს კვლევის შედეგებს. შტაბში საზეიმო განწყობა იყო შექმნილი. ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით "ოცნების" მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს ახალგაზრდების გულმხურვალე შეძახილები და ტაში მოსდევდა.***

"ქართული ოცნების" შტაბში სხვადასხვა საარჩევნო უბნიდან ინფორმაციები თანდათან შემოდიოდა. განხორციელებული სატელეფონო ზარების მეშვეობით გახდა ცნობილი, რომ სამტრედიის ოლქში პარტია "ქართული ოცნება" და მისი მაჟორიტარობის კანდიდატი, გრიგოლ მიქელაძე ლიდერობდა.

ბევრი თხოვნისა და მოწვევის, ასევე, გულშემატკივართა პატივისცემის მიუხედავად "ოცნების" კანდიდატი რუსთაველის ქუჩაზე მდებარე პარტიის შტაბში მანამდე არ მივიდა, ვიდრე ყველა უბნის შედეგი არ გახდა ცნობილი.

უბნის დახურვიდან თითქმის სამ საათში საოლქოს წინასწარი მონაცემებით 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში 55.54-ე სამტრედიის ოლქში გამარჯვებული პარტია "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო" და მაჟორიტარი გრიგოლ მიქელაძე გამოიკვეთა.

ვალერი ფოცხვერია, მუნიციპალიტეტის გამგებელი: "ეს იყო ერთადერთი სწორი არჩევანი, რაც ქართველმა ამომრჩეველმა გააკეთა. ამ არჩევანშიც სამტრედიელებმა ტოლი არავის დაუდეს. მით უმეტეს, ჩვენ ერთ-ერთი გამორჩეული კანდიდატი გვყავდა თავისი ღირსებით, წარსულით, მომავლის იმედით. მე მინდა, მივულოცო მთელ სამტრედიას 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში "ქართული ოცნების" გამარჯვება."

23 საათსა და 45 წუთზე რუსთაველის ქუჩაზე ღამის სამტრედიამ გამარჯვებული კანდიდატის მოსვლა იგრძნო. მას ამომრჩეველი ფეიერვერკებითა და დიდი ზარ-ზეიმით შეეგება.

ავთანდილ თევზაძე, გრიგოლ მიქელაძის საარჩევნო შტაბის თავმჯდომარე: "მხოლოდ სამი წინადადება მინდა, გითხრათ: პირველი _ მადლობა ღმერთის ამ წუთებისათვის, მეორე _ გია მიქელაძეს ვულოცავ პარლამენტის დეპუტატობას, მესამე _ მადლობა სამტრედიელ ამომრჩეველს ჩვენი გამარჯვებისათვის. ყველას უღრმესი მადლობა. დარწმუნებული ვარ, ძალიან კარგი დეპუტატი იქნება, ბევრი სამტრედიელის დამხმარე. წარმატებას ვუსურვებ მას და მის ოჯახს, ყველა სამტრედიელს."

ოთარ ჩრდილელი, საქართველოს პარლამენტის წევრი: "ჩვენ შევძელით ის, რომ სამტრედიაში გაიმარჯვა მომავლის რწმენამ. გაიმარჯვა პიროვნებამ, რომელიც არის ქველმოქმედი, ჭეშმარიტი პატრიოტი, სამტრედიის საპატიო მოქალაქე. ჩვენ ამაყები ვართ იმიტომ, რომ უკვე მერამდენედ დავამარცხეთ ძალა, რომელიც არის დღეს ჩვენ გვყავს ძალა, რომელიც წინ გაგვიძღვება სამტრედიელებს. მე ამაყი ვარ, რომ მიქელაძის გვერდით ვარ".

საზოგადოება გულში იკრავდა და წარმატებას ულოცავდა გრიგოლ მიქელაძეს, რომელსაც გვერდიდან არ მოსცილებია მისი ბავშვობის მეგობარი, ისრაელიდან საგანგებოდ ამ დღისთვის ჩამოსული ეფრაიმ მიხაილი.

ეფრაიმ მიხაილი, დაბა კულაშელი ებრაელი: "გია მიქელაძე აკეთებს სიკეთეს იმისთვის, რომ მისი გულიდან მუდმივად ჟონავს სიკეთე. გია არის საუკეთესო შენაძენი, საჩუქარი საქართველოს პარლამენტისთვის. ეს იქნება ყველაზე კარგი დეპუტატი სამტრედიის ისტორიაში. გია მიქელაძე არის სანდო კაცი. სპეციალურად ჩამოვედი ისრაელიდან მის მხარდასაჭერად. გია გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, სამტრედიაში იყოს კარგი ცხოვრება, ახალგაზრდებისთვის კარგი მომავალი".

გრიგოლ მიქელაძე: "უღრმესი მადლობა, ჩემო სამტრედიელებო"ქართული ოცნების" გამარჯვებას გაუმარჯოს, მომავალში ჩვენს ერთად ყოფნას გაუმარჯოს. ერთად საქართველოს მშენებლობას გაუმარჯოს, მასთან ერთად სამტრედიის აღმშენებლობას. საოცარ სიხარულს განვიცდი, ამავე დროს უდიდეს პასუხისმგებლობას. ასეთ ოვაციას, ასეთ მხარდაჭერას განსაკუთრებული საქმეებით უნდა ვუპასუხო. უკვე ამას განვიცდი, როგორ გავაკეთო ბევრი სასიკეთო საქმე ნდობის გამოცხადებისთვის".

რუსთაველის ქუჩაზე გამარჯვების ზეიმი "ქართულმა ოცნებამ" გვიან ღამემდე გააგრძელა, გაიხსნა შამპანურები და საქართველოს თავისუფლების, სწრაფი განვითარებისა და კეთილდღეობის სადღეგრძელოები შეისვა.








# მთავარი ისაა, რაც ამიერიდან უნდა მოხდეს

თეა ბაბუნაშვილი

არჩევანი და არადანი უკვე სახეზეა, გარკვეულ-გაურკვეველი კიდევ უფრო მეტი, ისეთი, ნაარჩევნებს რომ უკეთ გამოჩნდება! ზოგისთვის

შესაგუებელი, ზოგისთვისაც შეუგუებელი განცდების მიუხედავად, საარჩევნო კამპანიასაც მალე ჩაწყნარების ბოლო უჩანს. ქვეყანამ ახალი არჩევანი ძველის წინააღმდეგ, მაგრამ ძველისვე მსგავსიც, უკვე გააკეთა. განსჯისთვის, თუ რამდენად ხელსაყრელია ეს რეალობა ამომრჩევლისა და სახელმწიფოსთვის, წინ კიდევ ოთხი წელია. გასული ოთხი წლის წინანდელი კოალიციით შექმნილი საპარლამენტო მრავალპარტიულობის ხარჯზე, ამჯერად მწირი პარტიული რეალობა მივიღეთ. ეს ვისთვის კოაბიტაციის, ვისთვისაც დემოკრატიულობის ნიშანია.

მეცხრე მოწვევის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა საქართველოში. ახლა საქმის დროა უხვად გაცემული დაპირებების ასასრულებლად. ამიტომ მთავარი ისაა, ამიერიდან რომ უნდა მოხდეს.

რაც შეეხება სამტრედიას, №55. 54-ე მაჟორიტარული საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო პროცესს წარმატებით წარუძღვა. ისევე როგორც საქართველოს უმეტეს რეგიონში, სამტრედიაშიც არჩევნებმა ზედმეტი გართულებების გარეშე ჩაიარა. როგორც საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ნანა იმნაძე აცხადებს, "მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ უბნებზე იყო დესტაბილიზაციის მცდელობა, არჩევნები სამტრედიაში ყველანაირი ექსცესების გარეშე ჩატარდა. მობილიზებული იყო ყველა ის ადამიანი, ვისაც მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო პოზიცია ეჭირა საარჩევნო პროცესის მიმდინარეობაში. მადლობა მათ ამისთვის. არსებული 50 უბნიდან, ეს ცალკეული უბნები კულაშის სამუსიკო სკოლაში განთავსებული 45-ე და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მე-40 გახლდათ, არა ამომრჩევლის, არამედ, ერთი პოლიტიკური პარტიის დამკვირვებლების მხრიდან გახლდათ დესტაბილიზაციის მცდელობა. საჩივრებიც თითქმის არ დაწერილა, თუ არ ჩავთვლით, მე-40 უბანზე დაწერილს. სულ ..... საჩივარი დაიწერა."

სამტრედიაში არჩევნების მიმდინარეობას "ალ მედიის" წარმომადგენლები აკვირდებოდნენ, გარდა ამისა, NDI-ს, IRI-ს და ეუთოს დამკვირვებლები იმყოფებოდნენ. სულ რაიონში 47 017 ამომრჩევლიდან, ხმა 26 234, ანუ 55,8% მისცა. ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე ტური სამტრედიაში აღარ გაიმართება. პროპორციული სიით მიღებული შედეგებით, პირველი სამეული "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველო"_ 13 879 ხმა, ანუ 53, 83%; "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" _ 7 438 ხმა _ 28,85%; "პაატა ბურჭულაძე _ ახალი საქართველო"_ 989 ხმა, ანუ 3, 84% -ია. მაჟორიტარი დეპუტატი სამტრედიიდან "ქართული ოცნების" კანდიდატი გია მიქელაძე გახდა 14 824 ხმით, რაც 57,48%-ია. ხმების რაოდენობით მას მერაბ ჯანელიძე მოჰყვება "ნაციონალური მოძრაობიდან", 8564 ხმით, ანუ 33,21%_ით, მესამეზე კი პაატა მანჯგალაძეა, 928 ხმით, ანუ 3,60%-ით, ე.წ. "ბურჭულაძის" პარტიიდან.

ყველა იმ უბანზე, სადაც ჩვენი გაზეთის ჟურნალისტების ერთი ჯგუფი იმყოფებოდა, საარჩევნო პროცესი მშვიდ გარემოში შესაბამისი კანონმდებლობის სრული დაცვით მიმდინარეობდა. ამომრჩევლის აქტიურობაც თვალშისაცემი გახლდათ. ვითარება არც საოლქო კომისიაში შემაჯამებელი ოქმების მიტანისას შეცვლილა.

როგორც ხდება ხოლმე, გამარჯვებულ პარტიასა და მაჟორიტარს მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ გამარჯვება არჩევნების ღამესვე მიულოცა.



# მაჟორიტარობის კანდიდატები მედიის ობიექტივში

**ნინო ნანიტაშვილი**

4 მაჟორიტარ კანდიდატთა შორის მერაბ ჯანელიძე პირველი იყო, რომელიც მე-6 საჯარო სკოლაში განთავსებულ მე-8 საარჩევნო უბანზე მივიდა, არჩევნებში მისი მონაწილეობა და ხმის მიცემა დააფიქსირა.

დილის 10 საათისთვის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მაჟორიტარობის კანდიდატს საკუთარი არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქოდა. მშვიდი საარჩევნო ატმოსფერო, განწყობა ამაღლებული, მოლოდინი გამარჯვების _ მერაბ ჯანელიძე "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში 100%-ით საზოგადოების მხარდაჭერის იმედს იტოვებდა.

"განწყობა მაქვს პოზიტიური და გამარჯვების იმედი, რადგან ძალიან ბევრი მხარდამჭერის ზარი შემოდის ჩემს ტელეფონზე. წინა არჩევნებზეც ვიყავი კანდიდატი, მაგრამ ამდენი ზარი და მხარდაჭერა არ მქონია", _ განაცხადა მერაბ ჯანელიძემ.

"პაატა ბურჭულაძე _ ერთიანი საქართველოსთვის" სამტრედიის მაჟორიტარობის კანდიდატი, პაატა მანჯგალაძე სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის შენობაში 11 საათსა და 20 წუთზე გამოცხადდა. მე-17 საარჩევნო უბანზე ამ დროისთვის 300 ამომრჩეველი იყო მოსული. არსებითი დარღვევები არ შეუნიშნავს, თუმცა არჩევნების დემოკრატიულობას ეჭვით უყურებს. ამის მიუხედავად პაატა მანჯგალაძე დარწმუნებული იყო, რომ იმერეთში ბურჭულაძის პარტიას საუკეთესო შედეგი ექნებოდა:

"მომწონს ის, რომ ჯერჯერობით მშვიდობიანი გარემოა. თუმცა, ხელისუფლება გრძნობს, რომ წააგებს არჩევნებს და კოორდინატორების რაოდენობა გაზარდა. მაგალითად, 350 ამომრჩეველია სოფელ ჩხენიშში და 43 კოორდინატორი ჰყავთ. ყოველ მე-6 კაცზე ერთი კოორდინატორი მოდის. მაქვს გამარჯვების განწყობა. წინასაარჩევნო პერიოდში თითქმის ყველა მოსახლესთან ვიყავი. ხალხი ისეთ გაჭირვებაში ვნახე, არა მგონია, ამ გაჭირვებას ხმა მეორედ მისცენ". _ თქვა პაატა მანჯგალაძემ.





1291 რეგისტრირებული ამომრჩევლიდან 9859 ამომრჩეველი იყო. მე-5 საარჩევნო უბანზე 13 საათისთვის 229 ამომრჩეველს უკვე მიეღო კენჭისყრაში მონაწილეობა.

საკუთარი პარტიისთვის და საკუთარი კანდიდატისთვის ხმის მისაცემად დღის პირველ საათზე მე-5 საარჩევნო უბანზე პირველი სამტრედიელი "ლეიბორისტი" ოჯახთან ერთად მივიდა. დედის, მეუღლის და შვილის გარემოცვაში მყოფმა გიორგი ჯიმშელეიშვილმა, ხმის მიცემის შემდეგ ჟურნალისტებთან ოპოზიციურ პარტიებსა და ლეიბორისტების ხელისუფლებაში მოსვლის შესახებ ისაუბრა.

გიორგი ჯიმშელეიშვილი: "რა თქმა უნდა, ხმა მივეცი ჯანმრთელ, რეალურ საქართველოს. ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, რომ რაიმე დარღვევაა სამტრედიაში, მაგრამ, იმედია, ეს პროცესი გაგრძელდება. მაგრამ ჩვენი მთავრობის შემხედვარე, მაინც იქნება რაღაც პატარა დარღვევები, მაგრამ "ლეიბორისტული პარტია" არ დავუშვებთ, ისევ დარჩნენ ხელისუფლებაში ან "ნაციონალები" მობრძანდნენ. ხელისუფლებაში მოვა "ლეიბორისტული პარტია"".





დიმიტრი სულაქველიძე მე-12 საჯარო სკოლის ეზოში მე-7 საარჩევნო უბნის დახურვამდე 4 საათით ადრე დაფიქსირდა. მეუღლესთან, ორ ვაჟკაცთან და ერთ პატარა ქალბატონთან ერთად "ეროვნული ფორუმის" სამტრედიის მაჟორიტარობის კანდიდატმა ხმა საკუთარ არჩევანს მისცა.

დიმიტრი სულაქველიძე: "ჩვენი მთავარი გზავნილი არის ის, რომ მომავალი 4 წელი "ეროვნულ ფორუმთან" ერთად იქნება წარმატებული ნაყოფიერი, ბედნიერი და გახარებული, იქნება ის, ვინც სწორი არჩევანი გააკეთა".

შეგახსენებთ, რომ სამტრედიაში სულ რვა მაჟორიტარობის კანდიდატი იყრიდა კენჭს, აქედან 4, გრიგოლ მიქელაძე, ფატი მანჯგალაძე, შორენა ხარჩილავა და ზურაბ კვანტალიანი ხმის მიცემის უფლებით ქვეყნის დედაქალაქში, თბილისში სარგებლობს.

# წყნარი, მშვიდი, სტაბილური საარჩევნო გარემო

**ნათია ნაცვლიშვილი**

"საპარლამენტო არჩევნები 2016" _ ჩვენს მუნიციპალიტეტში რამდენიმე საარჩევნო უბანი უნდა შემოვიარო. ვიდრე მოქალაქეობრივ ვალს მოვიხდი და კონსტიტუციურ მოვალეობას შევასრულებ, სამარშრუტო ტაქსში ვჯდები.

"დღეს რომ კაცი სააკაშვილის პარტიას მისცემს ხმას, ის კაცია? ვნახოთ, რა შედეგს აჩვენებს "ქართული ოცნება" ხმამაღლა საუბრობს მძღოლი, რომელსაც ჯერ მხოლოდ ორი მგზავრი ჰყავს. ტრანსპორტიდან მალე ჩამოვდივარ და სტარტს მე-14 საარჩევნო უბნიდან ვიღებ. ლაშა თევზაძის ქუჩაზე მდებარე ამ უბნის კომისიის თავმჯდომარე ინგა გაბუნიაა. "10 საათისათვის უბანზე 121 ამომრჩეველი დაფიქსირდა, სულ 1362-მა უნდა გააკეთოს აქ არჩევანი. ხომ ხედავთ ყველა პარტიის წარმომადგენელი კმაყოფილია, მშვიდ ვითარებაში ვატარებთ არჩევნებს". _ გვეუბნება კომისიის თავმჯდომარე.

მე-8 საარჩევნო უბანზე კომისიის თავმჯდომარე პირველად არის მაია გაბედავა. ამ უბანზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 1392-ია. 10 საათის მონაცემებით აქ უკვე 73 ამომრჩეველი იყო მოსული. "პირველი ამომრჩეველი ამ უბანზე კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ზოია ჯინჭარაძე იყო. პროცესი წყნარ, მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს _ გვეუბნება ქალბატონი მაია.

№2 საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარე უკვე მეოთხედ, ქალბატონი მაყვალა ზამთარაძეა. მისი თქმით ამ უბანზე 891 ამომრჩეველია, 11 საათსა და 30 წუთის მონაცემებით არჩევანი 177 მოქალაქეს ჰქონდა გაკეთებული. მე-3 საარჩევნო უბანია განთავსებული მე-3 სკოლაში, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ამავე სკოლის დირექტორი, ვენერა ივანიშვილი გვეუბნება, რომ უბანზე 1138 ამომრჩეველია რეგისტრირებული, 12 საათზე 221-მა უკვე გააკეთა არჩევანი. № 1 საარჩევნო უბანზე, მაკა ჩაჩუაა კომისიის თავმჯდომარე. 1219 ამომრჩეველია ამ უბანზე, 12 საათის მონაცემებით 253 მოქალაქეს ჰქონდა არჩევანი გაკეთებული. კომისიის თავმჯდომარის თქმით, რაიმე ექსცესს და გაუგებრობას ადგილი არ ჰქონდა, მშვიდ, წყნარ ვითარებაში მიმდინარეობდა ხმის მიცემის პროცესი. ამ უბანზე "ქართული ოცნების" წარმომადგენელმა, მანანა სირბილაძემ, რომელიც სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარეა "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში აღნიშნა:

"მქონდა განცდა, შეიძლებოდა ხალხის აქტივობა არ ყოფილიყო, რადგან ამას ქადაგებდნენ ტელევიზიები, მაგრამ საბედნიეროდ, ხალხის პოლიტიკური დონე ამაღლდა და მომწიფდა და უბანზე ხალხმრავლობაა."

ამ უბანზევე სკოლის შესასვლელ კართან ეგზიტპოლების ჯგუფიც დავაფიქსირეთ. ისინი CFK-ს წარმომადგენლები იყვნენ და ხმის მიცემის პროსცესის შემდეგ, საარჩევნო უბნიდან გამოსულ ყოველ მე-7 ამომრჩეველს გამოჰკითხავდნენ. იგივე კომპანიის წარმომადგენლები დაგვიხვდნენ მე-7 საარჩევნო უბანზე.

"ჩვენთან წყნარი, მშვიდი, სიტუაციაა, 7 საათზე გაიხსნა უბანი, 8 საათზე კი ხმის მიცემა დაიწყო, 1426 ადამიანია სიაში _ გვეუბნება კომისიის თავმჯდომარე, ხათუნა თელია. 11 საათისთვის აქ 382 ამომრჩეველი დაფიქსირდა.





1131 ამომრჩეველია მე-40 უბანზე, კომისიის თავმჯდომარის, ტატა გოგუაძის თქმით პირველი საათის მდგომარეობით უბანზე არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდა 280 მოქალაქეს. "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ეძებენ აბსურდულ მიზეზებს, მათ უნდათ რაღაცაზე წამოგება, არადა ჩვენ გვინდა სიმშვიდე. წყნარი, მშვიდი, სტაბილური ვითარება. _ გვეუბნება ტატა გოგუაძე.

ჩვენი დაკვირვების ბოლო უბანი მე-6 საარჩევნო უბანია, სადაც კომისიის თავმჯდომარე მაყვალა თევზაძეა. 1327 ამომრჩეველი გვყავს, პირველი საათზე უკვე 380 მოქალაქეს ჰქონდა არჩევანი გაკეთებული". _ გვეუბნება ქალბატონი მაყვალა.

თეა ბაბუნაშვილი

# ახლანდელი ოთხი წელი, ჩვენი ოთხი წელი იქნება!

***ჯერ ისევ დაუმცხრალი საარჩევნო ვნებების ფონზე სამტრედიაში მმართველი პარტიის თავმჯდომარესთან გასაუბრება საზოგადოებისათვის საინტერესო თემად მივიჩნიეთ და გამგებელ ვალერი ფოცხვერიას პარტიის თავმჯდომარის ამპლუაში დავუთმეთ ჩვენი გაზეთის ტრიბუნა. მაგრამ მასთან, როგორც გამგებელთან რამდენიმე კითხვის დასმას მაინც ვერ ავცდით. ამჯერადაც ოპონენტებთან ურთიერთობა და მუნიციპალიტეტის შემდგომი წინსვლა გახლდათ საუბრის თემა. პოლიტიკაში არახალი ვალერი ფოცხვერია ჩვენს რამდენიმე კითხვას პასუხობს და მოკლე დროში ჩაწერილ-დაწერილი ამ ინტერვიუთი, რომელსაც თავიდან მხოლოდ ბლიცის პრეტენზია ჰქონდა, შემდეგ კი გაგრძელებული სიტყვასავით ვრცელი გამოვიდა, საკუთარ პოზიციებს კიდევ ერთხელ მკაფიოდ აფიქსირებს.***



**_ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი 8 ოქტომბრიდან სულ რამდენიმე დღე გავიდა. საარჩევნო ბატალიები ჯერ ისევ არ ჩამცხრალა. როგორც მმართველი პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, როგორ აფასებთ მეცხრე მოწვევის პარლამენტის არჩევნებს, როგორც ადგილობრივ, ისე საქვეყნო დონეზე?**

_ ეს მნიშვნელოვანი არჩევნები გახლდათ. წინა მოწვევის პარლამენტში კოალიციური მთავრობა იყო წარმოდგენილი ''ქართული ოცნების'' საფარქვეშ, ამჯერად დამოუკიდებლად გამოდიოდა ქვეყნის მმართველი პარტია საბრძოლო ფრონტზე. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს არჩევნები, მართლაც არჩევნები იყო. წინა არჩევნებს მე უფრო ომს ვადარებ. ეს ჩემი სუბიექტური აზრია. ამჯერად მართლაც ობიექტურად წარიმართა საარჩევნო პროცესი. ყოველ შემთხვევაში, ხელისუფლება ცდილობდა, საარჩევნო ზღვარს არ გადასცილებოდა. საკუთარ თავზე შემიძლია თქმა, რომ მე, როგორც ერთი სახელმწიფო მოხელე, ყველაფერს ვაკეთებდი იმისათვის, რომ საარჩევნოდ სახელმწიფო რესურსი არ გამომეყენებია. იქამდე, როცა საარჩევნო შეხვედრებისთვის გადაადგილება მჭირდებოდა, სახელმწიფო მანქანასაც არ ვიყენებდი. ვმოქმედებდი კანონით გაწერილი შესაძლებლობების ფარგლებში.

**_ აღნიშნეთ კიდეც, რომ კოალიცია დაიშალა. როგორ შეიძლება, ამიერიდან განვითარდეს მოვლენები, თუნდაც იმ ფონზე, რომ უკვე ცნობილია, პარლამენტში მხოლოდ სამი პოლიტიკური პარტია იქნება წარმოდგენილი.**

_ ჩვენ წინასწარვე ვიცოდით, რომ კოალიციის დაშლის შემდეგ ''ქართული ოცნების'' გარდა სხვა პარტიებს ბარიერის გადალახვის შანსი არ ექნებოდათ. თუმცა, გულწრფელად ვამბობ, ამის სურვილი ნამდვილად იყო. ხალხმა ნდობა ''ქართულ ოცნებას'' გამოუცხადა, მეორე ადგილზე, მოგეხსენებათ, ''ნაციონალური მოძრაობა'' გავიდა, ხოლო მესამე პარტია პარლამენტში ''პატრიოტთა ალიანსი'' იქნება. ვისურვებდი, სულ ცოტა, ხუთი პარტია მაინც ყოფილიყო წარმოდგენილი საკანონმდებლო ორგანოში. ეს დემოკრატიისთვის უფრო კარგი იქნებოდა.

**_ ''ნაციონალების'' ამხელა პროცენტს არ ელოდა არც მმართველი გუნდი და არც საზოგადოების ერთი ნაწილი...**

_ რატომ? მე ველოდი. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, ''ნაციონალური მოძრაობა'' არ ელოდა საკანონმდებლო ორგანოში ''ქართული ოცნების'' ამ რაოდენობით შესვლას. იმ პოლიტიკურმა სურათმა, რაც დღეს მოცემულობაა, ფაქტობრივად ასახვა ჰპოვა არჩევნების შემდგომ პარლამენტში. იმდენად კარგი ბეგრაუნდი ჰქონდა, გამოგიტყდებით და, ვფიქრობდი, რომ ბურჭულაძის პარტია მეტ შედეგს დადებდა. ალბათ პოლიტიკურმა გამოუცდელობამ მისი ჰქნა, რადგან არაერთი შეცდომა დაუშვეს წინასაარჩევნო პერიოდში.

**_ ვერც პოლიტიკურად გამოცდილმა ალასანიამ აჩვენა, ასე რომ ვთქვათ, ''კლასი'',... სხვათა შორის, კოალიციის იდეის ავტორი, ბიძინა ივანიშვილი, მისი დაშლის შემდეგ ალასანიას გუნდის პერსპექტიულობას ხაზს უსვამდა წინასაარჩევნო შეხვედრებში.**

_ რატომაც არა, ალასანიას გუნდმა დაშლილი კოალიციის ფონზე ნორმალური ანგარიში დადო. თუმცა, მათ პარლამენტში ნამდვილად ვისურვებდი. ჩემთვის, ისევე როგორც საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილისთვის, მიუღებელია ორ, მით უმეტეს, ერთ პოლუსიანი პარლამენტი. მასში პარტიების მრავალფეროვნება უკეთეს შედეგს მოუტანს საზოგადოებას და ქვეყანას. ეს ჩვენთვის, მმართველი პარტიისთვისაც უკეთესი იქნება, იმიტომ, რომ უნდა არსებობდეს ოპოზიცია, და უნდა არსებობდეს ჯანსაღი ოპოზიცია. ხალხის აზრი ასეც უნდა იყოს გათვალისწინებული. რაც შეეხება ''ნაციონალურ მოძრაობას'', მისი პოლიტიკური რესურსიდან, გამოცდილებიდან გამომდინარე, ამგვარ შედეგს, რა თქმა უნდა, ველოდი.

**_ თქვენი აზრით, სამომავლო ურთიერთობები როგორ გაგრძელდება, თუნდაც ადგილობრივ დონეზე?**

_ ჩვეულებრივად. ყოველ შემთხვევაში, მე სურვილი მაქვს, ისეთი იყოს ურთიერთდამოკიდებულება, როგორც ამას ოპოზიცია-ხელისუფლების ურთიერთობის პროტოკოლი ითვალისწინებს. თუმცა, აქვე ისიც, რომ თუ არ შეიცვლიან იმ რიტორიკას, თავიდან მოყოლებული ბოლომდე რომ აგრძელებენ, გაგვიჭირდება მათთან ერთად მუშაობა. მხედველობაში მაქვს თუნდაც ის, რომ ამბობენ გაყალბდა არჩევნებიო. თავად რომ იგებდნენ, მაშინ არ ყალბდებოდა?

**_ ასეთ შემთხვევაში მათთან მიმართებაშიც ხომ არ უნდა გადაიხედოს რიტორიკა, უკვე მეორე ოთხი წელი დაიწყო და ისევ ცხრა წლის შეხსენებაა აქტუალური. რამდენი ხანი უნდა ვიძახოთ ცხრა წლის მანძილზე...**

_ არის და კიდევ კარგა ხანს იქნება! ძალიან დიდი ხანი ვიძახებთ ცხრა წლის მანძილზე, იმიტომ, რომ ამ ცხრა წელმა ძალიან დიდი დაღი დაასვა სახელმწიფოს. ეს არის ჩემი პოზიცია. ჯერჯერობით, ისევ ამ უკუღმართი ცხრა წლის გამოსწორებაზე ვმუშაობთ და მის შედეგს ვიმკით. ფაქტობრივად, საზოგადოების დეგრადირება მოახდინეს. თქვენ ჟურნალისტი ხართ და ერთ რამეს ვიტყვი, ''რუსთავი 2'' არ არის ტელევიზია, ეს იგივე ''ნაციონალური მოძრაობაა'', დიდი პროპაგანდისტული მანქანა...

**_ ''სამტრედიის მაცნე''?... აქილევსის ქუსლი გახდა ბოლო დროს ჩვენი ურთიერთობები ...**

_ ''სამტრედიის მაცნე'' ეს არის თავისუფალი პრესა, ყველაფერს წერენ, მათ შორის ხელისუფლების საწინააღმდეგოსაც. ეს ასეც უნდა იყოს, რეალობამ უნდა ჰპოვოს ასახვა. თქვენს გაზეთში ერთნაირადაა როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური შეხედულებები. რაც შეეხება, ''რუსთავი 2-ს'', ამ სახელისუფლებო მანქანამ იქონია გავლენა ხალხის აზრზე, ცნობიერებაზე. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი შედეგები მისი და სხვა მედია-საშუალებების დიდი დამსახურებაა.

**_ ესე იგი, დაბოლოს აღიარებთ, რომ მედია მართლაც მეოთხე ხელისუფლებაა, დიდი იარაღია ...**

_ რა თქმა უნდა, მართლაც დიდი როლი უჭირავს ქვეყნის განვითარების საქმეში. კარგი იქნება, თუ იგი პოზიტიური მიმართულებით უფრო გამოიყენებს თავის შესაძლებლობებს, ვიდრე ნეგატიური თვალსაზრისით. როცა ''რუსთავი 2''-ზე ვსაუბრობ, იგი თავიდან ბოლომდე ნეგატიურია, არა მხოლოდ ჩვენი პარტიის წინააღმდეგ რომ მუშაობს, არამედ ხელს რომ უშლის ქვეყნის განვითარებას, ინვესტიციების მოზიდვას და ასე შემდეგ. მე ვისურვებდი ოპოზიციას და არა მტერს, როგორც ჩვენი პარტიის, ასევე სახელმწიფოს.

**_ ცოტა ხნით თავი დავანებოთ ჟურნალისტებს და იმაზეც გავამახვილოთ ყურადღება, კიდევ ერთი ახალი ოთხი წელი რომ დაიწყო ხელისუფლებისთვის. ზოგადად, რას უქადის იგი ქვეყანას და ამომრჩეველს. და იმაზეც, თვლით თუ არა, რომ ხელისუფლებასაც აქვს რამე გამოსასწორებელი? დავიწყოთ ნაკლოვანებებით და დავასრულოთ მიღწევებით.**

_ დავიწყოთ იმით, რომ ''ქართული ოცნება'' წინა ოთხი წლის განმავლობაში ფაქტობრივად არ ყოფილა ხელისუფლებაში! აგიხსნით რატომ _ პირველსავე წელს პარტია პარლამენტში იყო და პრეზიდენტი ოპოზიციაში ჰყავდა. ეს ნონსენსია, არც ერთ სახელმწიფოში ასეთი რამ არ ხდება!

**_ არადა, ის ივანიშვილის კადრი იყო, რატომ ნეტავ?**

_ მერე გახდა ოპოზიცია, ნუ, ასე მოხდა! გარდა ამისა, გარკვეული წლები სასამართლო არ გახლდათ თავისუფალი ყოფილი ხელისუფლების გავლენისგან, საკონსტიტუციო სასამართლო თითქმის ბოლომდე ხელისუფლების მოწინააღმდეგე მხარედ გამოდიოდა, ასევე, სახელმწიფო აუდიტი... რამდენი სტრუქტურა შეიძლება ჩამოვთვალო, ხელისშემშლელი ფაქტორი რომ იყო ხელისუფლებისთვის მისეული ხედვების და კურსის გასატარებლად სახელისუფლებო გავლენას მოკლებული. ახლა თავისუფალია ეს სტრუქტურები ძველი გავლენებისგან. ის შეფერხებები წინსვლას ხელს რომ უშლიდა, სწორედ ამის ბრალი გახლდათ. არ უნდა გამოგვრჩეს კიდევ ერთი რამ _ აღმასრულებელ ხელისუფლებაში იყო ''ქართული ოცნება'', ადგილობრივში თითქმის ორი წელი ისევ ''ნაციონალური მოძრაობა''. ხომ წარმოგიდგენიათ, პირიქით რომ ყოფილიყო, როგორ მოიქცეოდნენ ისინი? წინა ოთხი წელი ჩვენი წინამორბედი ხელისუფლების შეცდომების გამოსწორებაზე ვსაუბრობდით და ახლანდელი ოთხი წელი ჩვენი ოთხი წელი იქნება!

**_ ახალი რეალობით ''ქართული ოცნების'' მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი უკვე დეპუტატი გახდა. სამტრედიაში მეორე ტური მაჟორიტარული სისტემით არჩევნებისა აღარ გაიმართება. გია მიქელაძე წარმოადგენს მუნიციპალიტეტს პარლამენტში. მასზე რა იმედებს ამყარებთ?**

_ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი კახიანი წმინდა საპარლამენტო სახე გახლდათ. როგორც კონსტიტუციონალისტი, ნამდვილად დიდი შენაძენი იყო საკანონმდებლო ორგანოსთვის. იგი მეც არაერთხელ დამხმარებია საკანონმდებლო საკითხების სწორად გადაწყვეტაში. მისადმი ადგილობრივების პრეტენზია გახლდათ ის, რომ ნაკლებად იცლიდა რაიონისთვის. ამომრჩეველს მაჟორიტარი უფრო მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში ჩართული წარმოუდგენია და სჭირდება, ვიდრე კანონშემოქმედი. რაც შეეხება უკვე მაჟორიტარ გია მიქელაძეს, აღმოფხვრის ამომრჩევლის ამ პრეტენზიას. მოგეხსენებათ, იგი ბიზნესმენია და მისი საერთაშორისო გამოცდილება ამ კუთხით წაადგება რაიონს. როგორც ვიცი, გიორგი კახიანი ამ მოწვევის პარლამენტშიც შევა და ორივე ერთად საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოცდილებით შესანიშნავი ტანდემი იქნება სამტრედიისთვის.

**_ მე ამჯერად თქვენ გესაუბრებით არა როგორც გამგებელს, არამედ, როგორც ''ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს'' სამტრედიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელს. პარტიაში რამენაირი სიახლე ხომ არ იგეგმება?**

_ არანაირი. ყოველი წლის ბოლოს არჩევნები იმართება და ამ წლის ბოლოსაც ასე იქნება. მანამდე ვმუშაობთ ისე, როგორც ვმუშაობთ და გარკვეული წარმატებებიც გვაქვს. ეს საარჩევნო შედეგითაც გამოიხატება.

**_ პოლიტიკაში ახალი კადრი არ ხართ. საიდან მოხვედით ''ოცნებამდე'' და საერთოდ, თქვენი პოლიტიკური წარსული საიდან მოდის და სად მიდის.**

_ მართალია, მე არ ვთვლი, რომ პოლიტიკაში ვარ, მაგრამ ასეა, ვარ პოლიტიკაში. და ეს უკვე დიდი ხანია ასეა, მანამ, სანამ ეროვნული მოძრაობა აქტიურ ფაზაში შევიდოდა, მეცხრეკლასელები გახლდით მე, ზაზა ადეიშვილი, ანგია კახიანი, ალიკო გოგაძე, ზაზა ყურაშვილი, ზვიად ძიძიგურისა და მერაბ კოსტავას პროკლამაციებს რომ ვაკრავდით. მერე სტუდენტურ წლებში ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად ჩავები, გია ჭანტურია გავიცანი და იქედან მოყოლებული, ოთხმოცდაათიანი წლებიდან ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის წევრი გახლდით. 1999 წელს მონაწილეობა მივიღე ადგილობრივ არჩევნებში და საკრებულოს თავმჯდომარე გავხდი. მანამდე საპარლამენტო არჩევნებში ტარიელ ჩაჩუას დაუჭირა ჩვენმა ჯგუფმა მხარი. საკრებულოს თავმჯდომარე 2002 წელსაც გახლდით და როცა 2003 წელს ვარდების რევოლუციით ''ნაციონალური მოძრაობა'' ხელისუფლებაში მოვიდა, მე წავედი პოლიტიკიდან. მერე, როცა ბიძინა ივანიშვილმა თავისი სიტყვა თქვა, იქ დავდექი, სადაც ის, კახი კალაძე და სხვა ჩვენი თანამოაზრეები იდგნენ.

**_ ეროვნულ-დემოკრატმა რატომ გააკეთეთ არჩევანი ბიძინა ივანიშვილზე და რა მოსაზრებით თქვით უარი 2003 წელს ხელისუფლებაში მოსულ ძალასთან ურთიერთობაზე?**

_ 2003 წელს ''ეროვნულ-დემოკრატებმა'' გააგრძელეს ურთიერთობები ''ნაციონალებთან''. მე წასვლის გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მივიღე, რადგან ჩავთვალე, რომ ხელისუფლებაში მყოფმა ჩვენმა გუნდმა წააგო და უნდა წავსულიყავი. სკამს ვერ ჩავებღაუჭებოდი, უნდა წავსულიყავი და წავედი! თუმცა, მაშინ თავიდანვე ისეთი რეფორმები გაატარეს ''ნაციონალებმა'', თუნდაც პატრულის და ბევრი კიდევ სხვა, ვინანე კიდეც, რომ წამოვედი. სხვათა შორის, დარჩენის თაობაზე შემოთავაზებები აქტიურად მქონდა. თუმცა, მერე ისე განვითარდა მოვლენები, მთელი რიგი... არ მინდა ახლა ბევრი რამის გახსენება! ერთი სიტყვით, ვარჩიე ვყოფილიყავი იმ გუნდთან ერთად, რომელიც ამ ყველაფერს დაასრულებდა და ბოლოს მოუღებდა. დღეს ვფიქრობ, რომ ის, სადაც ახლა ვარ, ქვეყნის გადარჩენაა!

**_ წლის ბოლოს პარტიის თავმჯდომარის არჩევნებიაო და... ხომ არ გემუქრებათ გადარჩევა, ან თავად რა გეგმები გაქვთ?**

_ ვნახოთ, წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

**_ კოალიცია დაიშალა. არჩევნების შემდეგ ხომ არ იქნება მოსალოდნელი კოალიციურად დაკომპლექტებული ხელისუფლების გადახალისება, ახლებურ ''რეჟიმზე'' მორგება? საკადრო ცვლილებებს ხომ არ უნდა ველოდოთ მუნიციპალიტეტის მთავარ შენობაში?**

_ ჯერჯერობით არაფერი მოიაზრება. თუმცა, წინასწარ ვერაფერს გეტყვით. გარკვეული გავლენა შეიძლება იქონიოს, ბუნებრივიცაა ხელისუფლება ისე დალაგდეს, როგორ სურათსაც არჩევნები მოგვცემს. ჩემი გუნდით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. მოწადინებული ვიყავით, კოალიციურ-პოლიტიკური დატვირთვით კი არა, საქმისადმი საქმიანი მიდგომით გვემოქმედა. რამდენად გამომივიდა, არ ვიცი. ვცდილობდი, არავისთვის შემეხსენებია, ''ნაციონალი'' იყო თუ ''რესპუბლიკელი''. ვიწრო პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე დასკვნების გაკეთება არაა ჩემი სტილი.

**_ მომავალი წელი კვლავ საარჩევნო წელია, ამჯერად ადგილობრივ ფრონტზე. იქნებ ადრე დასმული კითხვაა, მაგრამ მაინც, კიდევ ერთხელ სცდით ბედს თუ, მოკლედ რომ ვთქვათ, შეეშვებით... ახლა უკვე არა როგორც პარტიის თავმჯდომარეს, არამედ როგორც გამგებელს გეკითხებით. და ერთიც, როგორ ფიქრობთ თქვენი, გამგებლის შეცდომა რა იყო და რით შეგიძლიათ თავის მოწონება.**

_ მართალი გითხრათ, რთული კითხვაა. უშეცდომოდ ადამიანი არ არსებობს. ვინც აკეთებს იმას ეშლება, მოცლილი არც ცდება. რა შემეშალა და რა არა, საზოგადოებამ განსაზღვროს. შეცდომები, ალბათ, იყო და მათ ან მაპატიებს და ან არ მაპატიებს ამომრჩეველი. მაგრამ საქმე ისაა, მივიღებ თუ არა საერთოდ მონაწილეობას ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებში. საკრებულოს თავმჯდომარე რომ ვიყავი, სხვა რეგულაციები იყო, გამგებლად მოვედი და ახალი, განსხვავებული მიდგომებია. ვთვლი, რომ მეტის გაკეთება შეიძლებოდა. ჩვენ ბიუჯეტი გავზარდეთ და უფრო მეტი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება შეგვეძლო.

**_ ესე იგი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვალერი ფოცხვერიას მომავალ ადგილობრივ არჩევნებში კითხვისნიშნის ქვეშ აქვს მონაწილეობის მიღება?**

_ დიახ! რთულია ამ პასუხისმგებლობაზე შეჭიდება. ყოველთვის არ გამოდის ისე, როგორც გინდა. იმდენად ბევრს უჭირს, რომ ყველას ვერ ეხმარები. ზოგჯერ რაღაც გამოგრჩება ხოლმე. წეღან მკითხეთ, კარგი რა გააკეთეო, ყოველ შემთხვევაში ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი დავხარჯე და ვხარჯავ საქმის გასაკეთებლად. ყველანაირად ვცდილობ, მუნიციპალიტეტისთვის ბევრი შევძლო.

# რა პრეტენზიები აქვთ სამტრედიელ "ნაციონალებს"

ნათია ნაცვლიშვილი

***სამტრედიას ნამდვილად შეუძლია თავი მოიწონოს პოლიტიკური კულტურით, რადგან ჩვენთან საპარლამენტო არჩევნები მშვიდ ვითარებაში, ყოველგვარი ექსცესებისა და დაპირისპირების გარეშე ჩატარდა. გამარჯვებული "ქართული ოცნება" ზეიმობს, ბარიერგადალახულ პარტიებს შორის "ნაციონალური მოძრაობაცაა", რომლის მიერ წარდგენილი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატიც ჩვენს მუნიციპალიტეტში დამარცხდა და თანაც, უკვე მეორედ. აღნიშნულ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ემზარ შუბლაძეს.***

**_ ბატონო ემზარ, უკვე მეორედ დამარცხდა არჩევნებში თქვენი პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, შთამბეჭდავი ბიოგრაფიის მქონე პიროვნება, მერაბ ჯანელიძე, ანალიზის დრო უკვე გქონდათ, როგორ ფიქრობთ, რატომ?**

_ უბრალოდ, მარტივად გადაწყდა ყველაფერი. მოსახლეობის უმრავლესობა გაიყიდა. მრავალსულიან ოჯახებს ფული გადაუხადეს, ამის ფაქტიც დავაფიქსირეთ, ვიდეო და ფოტოგადაღება ვერ მოვახერხეთ. ადამიანთან რომ მიხვიდე და ჰკითხო, ფული თუ გადაგიხადესო, გეტყვიან, რომ არა, იმიტომ, რომ ორივეს ინტერესებში შედის ეს. ერთს ფული უნდა, მეორეს _ ხმა. ჩვენი უბედურება ისაა, რომ ჩვენი საზოგადოება არ ფიქრობს იმაზე, რომ ამ 20-30 ლარით თავისი და შვილების ცხოვრების მომავალი უნდა გადაეწყვიტათ. გამოდის, ეს არც აინტერესებთ. "ქართული ოცნების" პროგრამა არ წაუკითხავთ. "ოცნებას" პროგრამა არ ჰქონდა უბრალოდ.



**_ საარჩევნო დღეებში ხელისუფლების არაერთი ვიდეოკლიპი გადიოდა არაერთი საქმიანი და კარგი დაპირებით...**

_ რასაც დაჰპირდნენ, ვერ აასრულეს. ჩვენი საზოგადოება ჩამოსაყალიბებელია. თუ ასე თანხით მოისყიდეს ამომრჩეველი, არჩევნებს ფასი არ ექნება ჩვენს ქვეყანაში.

**_ გრძნობს თუ არა პარტია ერთგვარ უხერხულობას მერაბ ჯანელიძის წინაშე, იმიტომ, რომ ორგზის მოუწია ამ ადამიანს ამ პარტიის პოზიციიდან დამარცხება. სხვა პარტიიდან რომ ეყარა კენჭი, გაიმარჯვებდაო, არაერთ ადამიანს უთქვამს.**

_ პარტია მერაბ ჯანელიძესთან არაფერ შუაში არ არის. ეს იყო მერაბ ჯანელიძის გადაწყვეტილება. მერაბი იყო "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატი 2012 წელს, მაშინ, როცა პარტია ხელისუფლებაში იყო, ეს ადამიანი არის ღირსეული ადამიანი ზოგიერთებისგან განსხვავებით. არ არის ისეთი, საითაც თბილი მდგომარეობა ელოდება, იქით გადაბარგებულიყო, თორემ მას არაერთი შეთავაზება ჰქონდა და უფრო დიდი მასშტაბებისა, მაგრამ მერაბმა თავის ღირსეულ კაცობას, ქართველობას, პატიოსნებას ბოლომდე უერთგულა, როგორც ეკადრებოდა...

**_ ამ ღირსეულმა ქართველობამ და კარგმა კაცობამ ხმების რამდენი პროცენტი მოუტანა 2016 წლის მაჟორიტარულ არჩევნებში?**

_ მან მიიღო ხმის 34%, 8564 ხმა, სამწუხაროდ, აამუშავეს ჭორის ინსტიტუტი, რომ მერაბს არ უნდა დეპუტატობა, ძალით აყრევინეს კენჭი და მსგავსი სისულელეები. შეიძლება, ხელისუფლებაში რომ იყო ადამიანი, ვიღაცას რაღაც აიძულო, მაგრამ ოპოზიციაში მყოფმა რა უნდა აიძულო? მერაბს რა ვალდებულებები ჰქონდა პარტიის წინაშე? არაფერი. თვით "ქართული ოცნების" კოორდინატორები ეუბნებოდნენ, მერაბ, მაშინ სხვა სიტუაცია იყო, ახლა საიდანაც არ უნდა იყარო კენჭი, მაინც გვერდით დაგიდგებით და მოგეხმარებითო. სამწუხაროდ, ყველაფერი ლიტონი სიტყვები აღმოჩნდა და მერაბი კიდევ ერთხელ მოატყუა სამტრედიის საზოგადოებამ, აი, ასეთი სამწუხარო მოცემულობაა ქვეყანაში. ეროვნულს, ღირსეულს, განათლებულს... ხმა არ მისცეს, ქვეყანაში, სადაც "პატრიოტთა ალიანსმა" ბარიერი გადალახა, რაზეა საერთოდ საუბარი...

**_ რატომ ფიქრობთ, როგორ გაიმარჯვა?**

_ სამტრედიაში რა შედეგიც აქვს არჩევნებში მონაწილე პარტიებს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით იგივე შედეგია. ეს შედეგი შევაფასოთ. სამტრედიაში ნათელაშვილს და ბურჯანაძეს მეტი ხმა აქვთ მიღებული, ვიდრე "პატრიოტთა ალიანსს", მათ აქ ბარიერი არ გადაულახავთ. სამტრედია არის ზოგადად ნიშნული საქართველოს შედეგისა. რა შედეგიცაა სამტრედიაში, მაქსიმუმ, ერთი პროცენტით ასცდეს საერთო შედეგს. 27,4% აქვს "ნაციონალურ მოძრაობას" ქვეყანაში და 28,85% გვაქვს ჩვენ, სამტრედიაში, აქედან გამომდინარე, თუ აქ გადალახავდა, მაშინ შემიძლია დავიჯერო, რომ ამ პარტიამ გადალახა ბარიერი... უარესი ელოდება ქართველს ხალხს.

ძალიან გთხოვთ, რასაც ახლა ვამბობ, არქივში შევინახოთ, თუ ახლა 20-30 ლარად იყიდეს ქართული საზოგადოება, 2020-ში 10 ლარამდე შეამცირებს ხელისუფლება მათ მოთხოვნებს. გააჩნია, რა კურსი იქნება დოლართან მიმართებაში.

**_ ყველა არჩევნებზე და ზოგადად ცხოვრებაშიც მაინც ამ ფორმულამდე დავდივართ: "არც ერთი იყო ეგვიპტელი და არც მეორე ვენეციელი, ორთავენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ". გამარჯვებულ პარტიას მიულოცეთ წარმატება?**

_ ადამიანები, რომლებიც ბოღმას, შურისძიებას, სიძულვილს გამოხატავენ, ჩემი მეგობრები ვერ იქნებიან. ახლახან ვიღაცამ დამიპოსტა, "ნაციონალურმა მოძრაობამ" შური დათესა ქვეყანაშიო. ეს არ ყოფილა ასე. შეიძლება ხელისუფლება ან სახელმწიფო მექანიზმი ვინმეს გადაჭარბებულად შეეხო, შეიძლება გარკვეული გადაცდომები იყო ადამიანის უფლებების თუ სხვა კუთხით, მაგრამ "ნაციონალური მოძრაობის" დროს ქვეყანაში ბოღმა და შური არ ითესებოდა, იმიტომ, რომ "რესპუბლიკელი", "ლეიბორისტი" ან "კონსერვატორი" ხარ, უნდა დაგხვრიტო, გაგანადგუროოო, არავის უთქვამს. ხატზე შემიძლია დავიფიცო, მსგავსი არ ყოფილა. ახლაც არ გამაჩნია "ქართული ოცნების" მიმართ ბოღმა და შური, მიუხედავად იმისა, "ქართული ოცნების" წარმომადგენლები საარჩევნო უბანზე ეუბნებოდნენ, ქუჩაში არ გაგატარებთ, თუ "ნაციონალებს" ხმას მისცემთო. მე პირადად ნამდვილად არ მიმილოცია. მე მგონია, გია მიქელაძეს მერაბმა მიულოცა.

## ხმის მიცემა სერიოზული დარღვევების გარეშე

პირველი ამომრჩეველი მე-40 უბანზე ზუსტად რვა საათისთვის დაფიქსირდა.

78 წლის ქალბატონი, თალიკო ბენდელიანი დილაადრიან რუსთაველის ქუჩიდან საარჩევნო უბანზე მივიდა. ამბობს, რომ ყველა არჩევნებში აქტიურად ერთვება და თავის მოქალაქეობრივ ვალს მომავალშიც მოიხდის: "78 წლის ვარ, რაც კი არჩევნები ჩატარებულა, ყოველთვის მიმიღია მონაწილეობა. მომავალ არჩევნებშიც ასე აქტიური ვიქნები. ვის ვაძლევ ხმას? ეს ჩემი საიდუმლოა".







სამტრედიის 50-ე საარჩევნო უბანი კომისიის წევრებისთვის 7-ზე, ხოლო ამომრჩევლისთვის 8 საათზე გაიღო. აქტივობა დილიდანვე შეიმჩნეოდა. უბნებზე მშვიდ გარემოში ხმის მიცემის ყველა პირობა იყო შექმნილი. სამტრედიის 55-ე მაჟორიტარული ოლქის საერთო მონაცემებით 10 საათისთვის 4017 ამომრჩეველი იყო მოსული.

8 ოქტომბრის არჩევნები პარტიების წარმომადგენლებისა და არასამთავრობოების დაკვირვების ქვეშ მიმდინარეობდა. მათი განმარტებით არანაირ ექსცესს და სერიოზულ დარღვევას საარჩევნო პროცესში არ ჰქონია ადგილი.

მაია გიორგაძე, წარმომადგენელი "ნაციონალური მოძრაობიდან": "არჩევნები მშვიდ გარემოში მიმდინარეობს. 4 საათია და არანაირი დარღვევა არ დაფიქსირებულა, უმნიშვნელოც კი".

მე-5 საარჩევნო უბანზე 1291 ამომრჩევლიდან საკუთარი არჩევანი 13 საათისთვის 300-ზე მეტ მოქალაქეს ჰქონდა გაკეთებული. "სამტრედიის მაცნესთან" მიცემულ კომენტარში უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ ამომრჩეველს მთელი დღის განმავლობაში თავისუფლად შეეძლო საკუთარი ნების გამოხატვა.

უბნებზე მისული ამომრჩევლის რაოდენობის და აქტივობის შესახებ ყოველ 2 საათში 55. 54-ე სამტრედიის საარჩევნო ოლქის თავმჯდომარე, ნანა იმნაძე მედიისთვის ინფორმაციას გასცემდა.

*ნინო ნანიტაშვილი*



## გარემონტებული ადმინისტრაციული შენობა _ პრესტიჟის საქმე



8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებში კულაშლებმა ახლად გარემონტებულ ადმინისტრაციის შენობაში მისცეს ხმა. მათთვის მისაღებ პარტიებსა თუ მაჟორიტარ კანდიდატებს.

დაბის მოსახლეობისთვის, კარგა ხანია, პრესტიჟის საქმედ იქცა ამ შენობის მწყობრში მოყვანა. თითქმის ამორტიზებული ნაგებობა არა მარტო უცხოეთიდან აქ ჩამოსულ სტუმრებს ხვდებოდათ თვალში, ადგილობრივებსაც დისკომფორტს უქმნიდა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები სოფლის პროგრამით ჩაეტარებინათ, კრებაზე აქაურების დიდი ნაწილი დაეთანხმა და დაბისთვის გამოყოფილი 40 ათასი ლარი მთლიანად შენობის რეაბილიტაციისათვის განისაზღვრა. გამარჯვებულმა შპს "ლაშამ", რომლის დირექტორი ანზორ ჩაჩუაა, სამუშაოები დროულად და ხარისხიანად ჩაატარა.

როგორც მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი, მიხეილ კვანტალიანი გვიხსნის, გარემონტდა შესასვლელი და ორი დარბაზი, დაიგო კერამიკული ფილები, ჩაისვა მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები, რკინის კარი, მთლიანად შეიცვალა სახურავი, ასევე გაილესა და შეიღება გარე ფასადი. შემოიღობა ეზო 24 გრძივი მეტრის ქვის ღობით. მომავალში გათვალისწინებულია ეზოს კეთილმოწყობა.

ბატონი მიხეილი იმედს იტოვებს, რომ აუთვისებელი თანხა უკან დაუბრუნდებათ და მეორე სართულის გარემონტებაც გახდება შესაძლებელი.

*ქეთევან ჭელიძე*

# მიხეილ გიორგაძემ ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა

**ნინო ნანიტაშვილი**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, მიხეილ გიორგაძე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორთან, ნიკოლოზ ანთიძესთან ერთად სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდ ჯიხაიშს ესტუმრა და ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით სახლ-მუზეუმს 2015-2016 წლებში სარეაბილიტაციო სამუშაოები ორ ეტაპად ჩაუტარდა. დამონტაჟდა სადრენაჟე სისტემა, აღდგა სახურავი. კერძოდ, ხავსისგან გაიწმინდა მარსელის კრამიტი, თუნუქის გადახურვა შეიცვალა კვლავ მარსელის კრამიტით, გარემონტდა ნიკო ნიკოლაძისა და მისი ოჯახის საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო ნაგებობა, თავლა, ნალია, ჭა ქარისძრავიანი სატუმბით, ჭა არქიტექტურული სტრუქტურით, აშენდა ახალი საპირფარეშო.

მომავალ წელს, მესამე ეტაპზე, რეაბილიტირდება დეკორატიული ბაღი და ინფრასტრუქტურული გარემო: ჭიშკარი, ბილიკები, განათების ბოძები. სარემონტო სამუშაოებს საქართველოს სამშენებლო ''ჯგუფი 21'' აწარმოებდა (უფროსი ლაშა ჭოლოკავა).

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის კომპლექსი 1951 წლის პირველ ივლისს გაიხსნა და მდინარე რიონის ხეობაში, ქუთაისიდან 20 კილომეტრში მდებარეობს. კომპლექსის ძირითადი ნაწილი, საცხოვრებელი სახლი 1886 წელს აშენდა და მოგვიანებით ორჯერ გადაკეთდა, შენობის საბოლოო სახე შვედი არქიტექტორის _ ფრიკის პროექტით 1910-იან წლებში დასრულდა. სახლ-მუზეუმს კაპიტალური რემონტი 5-ჯერ ჩაუტარდა. ბოლოს მუზეუმი, სახელმწიფოს დაფინანსებით, 2003 წელს გარემონტდა.

ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის კომპლექსი შედგება ჭიშკრის, მთავარი შენობის, სამეურნეო ნაგებობისა და თავლისაგან. მთავარი შენობა ორსართულიანია, რომლის ქვეშ მოწყობილია ვრცელი მარანი. სახლს ჩრდილოეთიდან შუშაბანდი, ხოლო სამხრეთიდან ორსართულიანი აივანი აკრავს. სამეურნეო ნაგებობა ერთსართულიანია და მასში ამჟამად განთავსებულია საყარაულო, სამზარეულო, სამეურნეო, საექსპოზიციო, სამზარეულო ოთახი და ადმინისტრაცია. ყოფილი თავლა გადაკეთებულია და მასში განთავსებულია სააქტო დარბაზი, სამი საცავი ოთახი, თავდაპირველი სახით შემორჩენილი თავლა და სხვენი. სახლ-მუზეუმის ეზოში დგას საქართველოში ერთადერთი წყლის საქაჩი ქარის ძრავა, რომელიც ნიკო ნიკოლაძემ 1910-იან წლებში ააგო. ძრავის მეშვეობით ხდებოდა წყლის ამოტუმბვა ჭიდან და მარაგდებოდა შენობა-ნაგებობები, ასევე იყენებდნენ სამეურნეო მიწების მოსარწყავად.

სარემონტო სამუშაოები 2015 წელს დაიგეგმა. მშენებლობა 2016 წლის 16 მაისს დაიწყო.

კულტურული ობიექტის დასრულებული სახით ჩაბარება 28 სექტემბერს მოხდა. მუზეუმის დირექტორი ლია ბიბილეიშვილი, განსაკუთრებულად გამოარჩევს ნიკოსეულ თავლას, რომელსაც დაბრუნებული აქვს ძველი იერსახე: ''თავდაპირველად გამაგრდა საფუძველი, ძველი აიყარა და ახალი, მოზაიკის იატაკი მოეწყო. სახურავი სრულად შეიცვალა მარსელის კრამიტით. მოხდა ძველი ხის კედლების აღდგენა, რესტავრაცია. ჩატარდა ელექტროსანტექნიკური სამუშაოები, მოეწყო შენობის კონდიცირება.

გზის ძრავის აღდგენა _ შეკეთებაზე მშენებლებმა თითქმის ერთი თვე იმუშავეს. მუზეუმისთვის, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ახალი, თანამედროვე საპირფარეშოს მოწყობა, სადამდეც 100 მეტრიან საფეხმავლო ბილიკს მივყავართ. გაკეთდა არსებული სახლ-მუზეუმის სადრენაჟე არხი, რომლის სიგრძე 200 გრძივი მეტრია და ჩადებულია 250 მილიმეტრიანი პლასტმასის მილები, რაც უზრუნველყოფს სარდაფიდან წყლის გადაქაჩვას. შეიღება ცენტრალური შემოსასვლელი ჭიშკარი''.

ცნობისთვის, ნიკო ნიკოლაძის საცხოვრებელი სახლი 1910 წლის სამშენებლო პერიოდის შემდეგ დღემდე მნიშვნელოვანი გადაკეთებების გარეშეა შემონახული. მასში ხელუხლებლადაა შენარჩუნებული ნიკო ნიკოლაძის დროინდელი გეგმარება. უცვლელია შენობის გადახურვა, რომლის განახლება თანადროული მარსელის კრამიტის გამოყენებით ხდებოდა, ამდენად ის პირვანდელი სახითაა შენარჩუნებული. ამასთან, გარკვეული ცვლილებები სახლს მაინც შეეხო რასაც ძირითადად კოსმეტიკური ხასიათი ჰქონდა.







# ახალსოფლის ბორანი აღდგენილია

ახალსოფლის ბორანი მოსახლეობას საყანე ფართობებთან აკავშირებს. რამდენიმე თვის წინ მდინარე რიონის ადიდების შედეგად ბორანი მწყობრიდან გამოვიდა. მოახლოვდა მოსავლის აღების პერიოდი და მისი რეაბილიტაცია აუცილებელი გახდა. სამუშაოები უკვე კარგა ხანია დაიწყო. მათი მიმდინარეობის პროცესს გაეცნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია, გამგებლის მოადგილე, მამუკა თავაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, ზურაბ გოგია, ასევე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქციის თავმჯდომარე, გრიგოლ დარჯანია, რომელიც ახალსოფლის მოსახლეობის სატკივარს მუდამ იზიარებს და ამჯერად უშუალოდ არის ჩართული სამუშაოების პროცესშიც.



''ბორნის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის თანხა 10 ათას ლარამდე მუნიციპალიტეტის გამგეობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო, ყველა არსებულ რესურსსა და საშუალებას ვიყენებთ, რომ მოსახლეობის ინტერესი იქნეს გათვალისწინებული და ამ შემოდგომაზე ადგილობრივებმა მოსავლის დროულად დაბინავება შეძლონ.'' _ განუცხადა ''სამტრედიის მაცნეს'' მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ''ინდ- მეწარმე ვაჟა ტრაპაიძე'' შეასრულა.



''ამ ბორნით სარგებლობენ როგორც მელაურის, ეწრის, იანეთის პირველი უბნის, ახალსოფლის, ასევე, ალმაშენებლის, ხორავასა და ვასაძის ქუჩების მცხოვრებლები, ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭყვიშის მოსახლეობაც. წყალდიდობის შედეგად ბორანი გაიტაცა მდინარემ და მოგვიხდა შლამიდან მისი ამოღება, დაშლა და ხელახალი რეაბილიტაცია. ამ პროცესში ჩაერთვნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია, სოფლის მეურნეობის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვის და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ზურაბ გოგია და ანზორ კოპალეიშვილი, დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ ბორნის აღდგენის საქმეში. მოსახლეობა კმაყოფილია, რომ მოსავალს დროულად დააბინავებს და ბორანი მათ პრობლემებს არ შეუქმნით. ამავდროულად ისიც მინდა ვთქვა, ახალსოფლის ბორნის სიახლოვეს იტბორებოდა კალაძეების უბანი, სანიაღვრე არხების არ არსებობის გამო, რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მილი გამოგვიყო მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ასევე გამოგვიყო ტექნიკა, გაიჭრა არხი, ჩაიდო მილი და ეს პრობლემაც მოგვარდა, რისთვისაც ასევე მადლობას ვუხდით ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას''. _ განაცხადა ჩვენთან საუბარში გრიგოლ დარჯანიამ.

**ნაილა ნაცვლიშვილი**

# განიხილეს და გადაწყვიტეს



მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი) ბატონი კობა ძიძიგური უძღვებოდა 3 ოქტომბერს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომას.

დღის წესრიგში განსახილველად შეტანილ საკითხთა ირგვლივ საკრებულოს ბატონებმა: ჯონი ახობაძემ, გრიგოლ დარჯანიამ და ხვიჩა ფანცულაიამ მოახსენეს.

საკრებულომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, განიხილა ''არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის'' 2016 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ'' საკრებულოს 2015 წლის 22 დეკემბრის განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხი და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საქართველოს ორგანული კანონის ''ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' მე-16 მუხლისა და 24-ე მუხლის 32 პუნქტის მიხედვით საკრებულომ განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფციის მოწონების საკითხი და გადაწყვიტა:

მოწონებულ იქნას სამტრედიის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფცია და დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობას, გაითვალისწინოს სამტრედიის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფციის მოთხოვნები.

და მაინც, რას წარმოადგენს ხსენებული კონცეფცია?

კონცეფცია არის ერთ-ერთი დანართი ''საქართველოს მუნიციპალიტეტების კლიმატის ცვლილების გზამკვლევისა'' რომელიც მომზადდა ''საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაციის'' პროგრამის ფარგლებში.

კონცეფციაში მოცემულია კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების სოციალურ-ეკონომიკური შეფასება.

ვხვდებით არსებული მდგომარეობის მიმოხილვას და კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ პერსპექტივებს ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურისა და სოციალურ სექტორში.

3 ოქტომბერს გამართულმა საკრებულოს სხდომამ განიხილა რიგი სხვა საკითხები და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

**ლევან გაბიჩავა**

# "ნუ ესვრი წარსულს დამბაჩას..."

**ქეთევან ჭელიძე**



***ბატონი გულო... ასე არა!.. ბატონი ვანო შვილთან ერთად გვესტუმრა რედაქციაში შპს "სამტრედიის მაცნეს" დირექტორმა ბექან გოგიამ.***

***"გულო" იმიტომ არა, რადგან ის ზედმეტსახელია და ვერანაირ "ბატონის" და რევერანსს ვერ ითანხმებს.***

***"ჩემი კარგი მეგობარია, ყველას მიმართ თბილი და ყურადღებიანი, გულიანი კაცია. "გულოც" იმიტომ შეარქვეს". – დაგვიხასიათა ბატონმა ბექანმა გულო, იგივე ივანე ნუცუბიძე.***

ეს ბრგე და გამორჩეული გარეგნობის ადამიანი 1956 წელს გიორგობის დღეს დაიბადა სამტრედიელებისათვის ნაცნობ და პატივსაცემ ოჯახში. სტუმართმოყვარეობითა და პატიოსნებით ცნობილი ივანე ნუცუბიძე, რომელიც დასავლეთ საქართველოს ნავთობბაზის დირექტორი იყო და თანაც მაღალი ჯილდოს, ლენინის ორდენის კავალერი, მაგალითი გახლდათ შვილიშვილისთვის, როგორ უნდა ეცხოვრა, ჰყვარებოდა ადამიანები და დახმარების ხელი გაეწოდებინა მათთვის.

სახლში ყოველთვის ტრიალებდნენ მეგობრები: სამტრედიის მაშინდელი რაიკომის მდივნები, ნოდარ კოხრეიძე და თალიკო მიქაძე, კულტურის განყოფილების გამგე ჯულიეტა გოგავა, აღმასკომის თავმჯდომარე ბორის ფოცხვერაშვილი, კოლმეურნეობის ცნობილი თავმჯდომარე თამარ თავაძე და სხვები და სხვები, როგორც ბატონი ვანო ამბობს, მთელი სამტრედიის ნაღები საზოგადოება. "ჩემს სახლში გაიზარდნენ მერაბ ადეიშვილი, ტრანსპორტის ყოფილი მინისტრი, პაატა კოღუაშვილი, ყოფილი ვიცე-პრემიერი, დიდიმი სტურუა, პრეზიდენტ ედუარ შევარდნაძის მრჩეველი, ზურაბ ხაჟალია, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე და მრავალი სხვა". ხაზს უსვამს დედის, ქალბატონი მერის კომუნიკაბელობას და მისთვის დამახასიათებელ აქტიურობას საზოგადოებაში.

სიკეთის კეთება ტრადიცია იყო მათ სახლში. ასეთი იყო ბებია, გიმნაზიადამთავრებული ქალბატონი ანიჩკა გელეიშვილი, მამა – ბორის ნუცუბიძე, რაიონული საავადმყოფოს ექიმი თერაპევტი და დედა – მერი ბექაია, ექიმი კარდიოლოგი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, რაიონის მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში, რაიონის საპენსიო კომისიის თავმჯდომარე, ექიმთა გაერთიანების პარტიული კომიტეტის მდივანი, უმაღლესი სასამართლოს მსაჯული.

"ქალბატონი ანიჩკა საოცრად თბილი ადამიანი გახლდათ, ცდილობდა, რაც ჰქონდა, ყველასთვის ეწილადა, მზრუნველი ადამიანი იყო. მახსოვს, პირველ კლასში წასვლის წინ კარში სამჯერ წაღმა როგორ დამატრიალა და მითხრა: კარგად გესწავლოსო. მართლაც ლოცვად გამყვა". – მადლიერებით იგონებს მას ქალბატონი მაყვალა ჩირგაძე.



გულო ნუცუბიძე შვილთან, გიორგისთან

ანიჩკა ბებია მისი შვილიშვილების მეგობრების ბებიაც იყო, მათი დამპურებელი და მესაიდუმლეც კი. სიკვდილის წინ უთქვამს ბიჭებისთვის, იმდენი ამაგი მაქვს თქვენზე, ჩემი კუბო მხარზე არ გაიდოთ, ხელებაწეულებმა გამასვენეთო. სურვილი შეუსრულეს ქალბატონ ანიჩკას და თან გულწრფელი ცრემლიც გააყოლეს.

"მართალი და პატიოსანი ადამიანები გვზრდიდნენ", – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ბატონი ვანოს დამ, მარინა ნუცუბიძემ. პროფესიით ისიც ექიმია, პედიატრი, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და ოჯახის ექიმი. მისი მეუღლის, რაიონული საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების გამგის, თემურ კანდელაკის გარდაცვალებამ მთელ სამტრედიას დასწყვიტა გული, განსაკუთრებით მძიმე იყო მისი სიძისთვის. ახლა სიხარულს ანიჭებს დისშვილების წარმატებები – თინათინი, ანა და ლევანი მომავალი ექიმები არიან.

თავიანთი წინაპრების დასახასიათებლად ქალბატონმა მარინამ ასეთი ფაქტიც გაიხსენა: "ერთხელ ბებიაჩემს მანდარინი მონატრებია და ბაბუას უთქვამს, სირცხვილია, ჩვენ მანდარინი როგორ უნდა ვჭამოთ, ხალხი შიმშილობსო.

უბრალოება და სხვებისათვის თანადგომა ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ივანე ნუცუბიძესაც. ამიტომ აღარ ახსოვთ, ან არ იციან მისი ნამდვილი სახელი. "გულო" კი ზედგამოჭრილი აღმოჩნდა მისთვის. გულიან კაცს ყველას სატკივარი მიაქვს გულთან, წარმატება უხარია და თუ საჭირო გახდა, გაუჩინარსაც გააჩენს მათთვის. ამიერკავკასიის რკინიგზის მე-14 საშუალო (მე-12 საჯარო) სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მან სწავლა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე გააგრძელა. რადიოქარხანაში ჯერ ტექნოლოგად, კონსტრუქტორად, შემდეგ კი, 24 წლისას მექანიკური და საჩამომსხმელო საამქროს უფროსობა ანდეს. გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა ბევრი რამ განადგურდა ქვეყანაში, მათ შორის ის ქარხანაც დაინგრა და ბატონი ვანო უმუშევარი დარჩა. დახმარების ხელი მეგობარმა, გია მიქელაძემ გაუწოდა. ნუცუბიძეების ოჯახის მიერ მისადმი გამოჩენილ სიკეთეს სიკეთით უპასუხა. ბატონი ვანო მან "ისნის" ბაზრის დირექტორად დანიშნა. წლების შემდეგ ბატონმა გიამ თავის ფირმაში, "ტრანსსერვისში" მენეჯერად აიყვანა, ამჯერად კი საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში მუშაობს.

გულო ნუცუბიძის მეუღლე, მაია ღონღაძეც ექიმი პედიატრია და თბილისის №11 ბავშვთა პოლიკლინიკაში მუშაობს. მამას იმედი გაუმართლეს შვილებმა: ბუბამ საერთაშორისო ეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა და საჰაერო ნავიგაციის ინჟინერია, გიორგი "ტრანსსერვისში" ტურიზმისა და ტრანსპორტირების განყოფილების უფროსი და "გრატოს სათბურების" მენეჯერია. ბუბას მეუღლეც სამტრედიელია, კოლორიტი კაცის, ბატონ ოთარ შანიძის შვილიშვილი ნინო მიქაძე. ჩვეულებრივი ქართველი ბაბუა ვარო, ამბობს და დიდ სიყვარულს გამოხატავს თავისი ერთადერთი შვილიშვილის მიმართ.

"მამა ცოტა მკაცრი, მაგრამ პირდაპირი ადამიანია. ძალიან უყვარს ჩემს მეგობრებს, მის რჩევებსაც ითვალისწინებენ, ზოგჯერ ჩემს გარეშეც უწევს მათთან ყოფნა და მათთვის თამადობის გაწევა. მამას ძალიან ბევრი მაღალჩინოსანი მეგობარი ჰყავს და რიგითი სამტრედიელებისათვის იგი ყოველთვის იყო ხიდი მათსა და ხელისუფლებას შორის." – აღნიშნა გიორგი ნუცუბიძემ.

დისთვის, ქალბატონი მარინასთვის კი, ძმა ყველაზე დასაყრდენი ადამიანია. "ყოველთვის გვერდით მიდგას, სამი ობლის აღზრდაში ის დამეხმარა. ძალიან კარგი რძალიც მყავს, ჩემს შვილებს თავს ევლება. ჩემი ძმისშვილებიც არაჩვეულებრივი ახალგაზრდები არიან. გულო გულკეთილი ადამიანია და ამიტომაც შეარქვეს მეგობრებმა "სერდცე ბორისოვიჩი". როცა ის კარგადაა, ჩვენც კარგად ვართ. ცდილობს, ყველას ყველაფერი გაუნაწილოს, უკანასკნელ თანხას ამოიღებს ჯიბიდან სხვების დასახმარებლად, ჩემი მეუღლე რომ ცუდად გახდა და თბილისში რეანიმაციაში იწვა, გვერდიდან არ მცილდებოდა, გია მიქელაძეც მხარში მედგა, მასაც ჩემს ძმად ვთვლი, საოცრად ყურადღებიანი და კეთილშობილი ადამიანია. ალბათ, თუ რამეს წარმოვადგენთ დღეს ჩვენ, ეს სამტრედიელების, ჩვენი მეგობრების დამსახურებაც არის."

"ასეთი ბუნების კაცი ვარ, მეგობრები მიყვარს და მთელ საქართველოში მრავლად მყავს ისინი. ყველას ვეხმარებოდი, სამსახური სჭირდებოდათ, თუ სამედიცინო დახმარება. ასეა დღესაც.

გია ჩემი გიორგის ნათლიაა, საოცარი ადამიანია. ჩემი ოჯახის კეთილდღეობა სწორედ მისი დამსახურებაა, სამტრედიაში ამჟამად მის მხარდასაჭერად ვიმყოფებით". – გვითხრა ჩვენმა რესპონდენტმა.

"ნახალოვკა" კი, ისე როგორც ყველა იქაურისთვის, მისთვისაც ცხოვრების სკოლა იყო. წარჩინებული მოსწავლისა და სამტრედიის საკალათბურთო გუნდის წევრისთვის რკინიგზის კლუბიც შინაურ ადგილს წარმოადგენდა. "ბითლზებით" გატაცებული მისი თაობისთვის ეს ყველაზე საუკეთესო ადგილი იყო საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების მოსახდენად. კოლორიტი, არაჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ კლუბის დირექტორი კოლია კაკაბაძე. – ამბობს ის. – აქ იყო უნიჭიერესი კაცი თამაზ დუნდუა, ბუთულო (ბექან გოგია), ლევან თავაძე, ნოდარ გაგუა, მალხაზ კაკაბაძე და კიდევ ბევრი სხვა. მათ ხელში ვარ გაზრდილი. აქ ვისწავლე გიტარაზე დაკვრა, სხვათა შორის, მუსიკალური შვიდწლედიც მაქვს დამთავრებული. მოკლედ, ძალიან საინტერესო წლები და ადამიანები იყვნენ. "ნუ ესვრი წარსულს დამბაჩას, თორემ მომავალი ზარბაზნებს დაგიშენს". – ეს მისი საყვარელი ფრაზაა.

სინანულით იხსენებს თავის უახლოეს მეგობარს, მიხეილ გამრეკელიძეს, რომელთანაც წლები აკავშირებდა. დღემდე სტკივა კოლორიტი კაცის, ბორის ნადირაძის შვილის და თავისი მეგობრის, გიზოს ტრაგიკული გარდაცვალება.

ეამაყება მისი სკოლა, განსაკუთრებით მისი კლასელები, ნანა ცირეკიძე, ქეთევან ქოიავა და სხვები. სწავლაში გამორჩეული კლასელები მყავდაო, გვარწმუნებს, – "6-მა გოგონამ სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა, 12 ბიჭი კი ინჟინრის სპეციალობას დაეუფლა." სიამოვნებით საუბრობს თავის მეგობარ თემურ (კუსა) ჩირგაძეზე, მისი თაობის, მასზე უფროს თუ უმცროს "ნახალოვკელ" ახალგაზრდებზე, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრზე ტანვარჯიშში ცისანა ჭკადუაზე, ასევე, მედეა ჭკადუაზე, მანანა ახობაძეზე, თამრიკო არველაძესა და სხვებზე.

"ყოველთვის ასეთი იყო: უბრალო, ყველას თავს რომ უტოლებდა, ყველას ამბის მომკითხავი, კარგი მეუღლე და სასახელო შვილებიც ჰყავს. მინდა, ყოველთვის ჯანმრთელად და კარგად იყოს". – უსურვა ბატონ ვანოს თანაკლასელმა ციცინო თავაძემ.

სამტრედია ჩემთვის ყველაფერიაო, დასძენს გულო ნუცუბიძე და გულიც ხშირად მოუწევს აქეთკენ. აქ მისი განუმეორებელი მოგონებები ცოცხლობს, სიყვარულით რომ ავსებს და აძლიერებს.

# ერთფეროვანი ცხოვრების გასახალისებლად



"საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების" სამტრედიის ფილიალმა წელს 1-ლი ოქტომბრის ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო. მათ ხანდაზმულთა საერთაშორისო დღის მისალოცად "სათნოების სახლის" ბინადრები მოინახულეს.

სამტრედიელთათვის კარგად ცნობილი ქალბატონები, ლიზა კრავეიშვილი, ნათია პაპავა, ნათია გოგუაძე, სოფიკო ღოღობერიძე ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ადამიანებთან ერთი დღით ადრე 30 სექტემბერს მივიდნენ და შეეცადნენ, თავიანთი სტუმრობით მათთვის ყოველდღიური ერთფეროვანი ცხოვრება გაეხალისებინათ.

ეს არ იყო "წითელი ჯვრის" სამტრედიის ფილიალის მხრიდან გაკეთებული პირველი აქცია. ზემოჩამოთვლილმა ქალბატონებმა უახლოეს წარსულში რამდენჯერმე მოახერხეს "სათნოების სახლის" ბინადრების მიმართ მზრუნველობის გამოჩენა. ყველა ჯერზე მოხუცებისთვის მიაქვთ საყვარელი ტკბილეულობა, ტანსაცმელი, პირადი მოხმარების ნივთები და ჰიგიენური საშუალებები.

ნათია პაპავა, "საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების" სამტრედიის ფილიალის აღმასრულებელი მდივანი:

"მადლობა მინდა, გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგეობას და საკრებულოს, რომლებიც აფინანსებენ სოციალურ ღონისძიებებს. ასევე გვყავს კერძო შემომწირველები, რომლებმაც არაერთი სოციალური ღონისძიება დაგვიფინანსეს. კონკრეტულად კი სერგო რუხაძემ ჩვენს მუნიციპალიტეტში დააფუძნა "წითელი ჯვრის რაიონული ორგანიზაცია". ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე მივულოცეთ "სათნოების სახლის" ბინადრებს, რომლებსაც ამ დღეს მივუტანეთ სადღესასწაულო ტორტი, ჰიგიენური საშუალებები და პირადი მოხმარებისთვის "ლუმინარის" ფირმის ჭიქები. ეს არ იქნება ჩვენგან გაკეთებული ერთჯერადი აქცია. წლის ბოლომდე ჩვენს ხანდაზმულებს კიდევ მოვინახულებთ".

იმ დღეს მორალური მხარდაჭერისთვის უამრავი მადლობა გამოთქვეს ახლობელ ადამიანებს მონატრებულმა მოხუცებმა. ძლიერი ემოციების ფონზე გულში იხუტებდნენ საპატიო ქალბატონებს და უდიდეს მადლიერებას გამოხატავდნენ.



**ნინო ნანიტაშვილი**

# "მაღლი ქენი ხმა მიეცი, გაიარე წინ დაგხვდება"

## გამარჯვებულ მე-9 სკოლელთა საარჩევნო სლოგანი

**ნათია ნაცვლიშვილი**

სამტრედიის მე-9 საჯარო სკოლამ არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის, არამედ საქართველოს მასშტაბით გაიბრწყინა. ამ სკოლის გუნდი "Cambiatio" მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა არასამთავრობო ორგანიზაციის "დემოკრატიის ლაბორატორია" მიერ გამოცხადებულ კონკურსში. პროექტი სახელწოდებით "მე და არჩევნები" ამ ორგანიზაციამ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით და პრეზიდენტის ფონდის მხარდაჭერით საქართველოს საჯარო სკოლებში განახორციელა. ეს ახალგაზრდული პროექტი შინაარსით სრულად აპოლიტიკური იყო და მიზნად ისახავდა საქართველოს სკოლებში არჩევნების თემაზე კონკურსის ჩატარებას.

11 ივლისიდან 2 ოქტომბრამდე კონკურსი ქვეყნის მასშტაბით 3 ეტაპად ჩატარდა, ყველა რეგიონიდან 2 გუნდი გავიდა ფინალურ ეტაპზე. იმერეთის რეგიონიდან ფინალში სამტრედიის მე-9 და ქუთაისის 23-ე საჯარო სკოლები გავიდნენ.

ფინალისტმა გუნდებმა 3 დასკვნით ტურში მიიღეს მონაწილეობა. პირველი ტური 2 წუთიან საჯარო გამოსვლას ითვალისწინებდა. გამომსვლელს უნდა დაესაბუთებინა, რატომ არის მისი მომავლისათვის მნიშვნელოვანი არჩევნებში მაქსიმალურად მეტი მოქალაქის მონაწილეობა. II ტურში კაპიტნებს შორის კონკურსი გაიმართა, მოეწყო ხმის მიცემის სიმულაცია. III ტურში გუნდებს უნდა მოემზადებინათ სლოგანი და ბანერი, რაც კონკურსის მთავარ თემასთან იქნებოდა დაკავშირებული.

ამ საინტერესო პროექტში მონაწილე მე-9 სკოლის გუნდის "Cambiatio" წევრებმა მე-12 კლასელებმა თეა მიქელაძემ, გალაქტიონ ფახურიძემ და მე-10 კლასელმა ვიტალი შენგელიამ რთული და მეტად საპასუხისმგებლო რამდენიმე საკონკურსო ეტაპის გადალახვის შემდეგ საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენეს, ისინი მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩნენ პირველ ადგილზე გასულ ახალციხის №6 საჯარო სკოლის გუნდს. "Cambiatio"-ს სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი ქეთევან ბაღდავაძე ხელმძღვანელობდა. დაჯილდოვების ცერემონიაზე ის გუნდთან ერთად იმყოფებოდა და მოსწავლეებთან ერთად ქვეყნის პრეზიდენტისაგან მადლობას იღებდა.




ქეთევან ბაღდავაძე: ფინალური ტურის I და III ეტაპები შეაფასა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც ალექსანდრე ლორთქიფანიძე და ანა დოლიძეც იყვნენ. II ეტაპი კი შეაფასა ცენტრალური საარჩევნო კომისიის საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმების და სწავლების ცენტრის წარმომადგენელმა მაია ზარიძემ. ჩვენი გუნდის წევრებმა მოიპოვეს საგზური ესტონეთში, ტალინში სადაც ისინი გაემგზავრებიან თანამედროვე ელექტრონული საარჩევნო სისტემის შესასწავლად. ეს ჩვენთვის მართლაც დიდი წარმატებაა. პრეზიდენტმა მოსწავლეებს უთხრა, ჩვენზე მეტი სამუშაო თქვენ გასწიეთ ამ პროექტში მონაწილეობით, საიმისოდ, რომ მოქალაქეები არჩევნებზე წავიდნენო".

შთაბეჭდილებები გაგვიზიარა გამარჯვებული გუნდის სამივე წევრმა. გუნდის კაპიტანი თეა მიქელაძე: "2 თვის განმავლობაში ამ საინტერესო პროექტში ჩართულობამ ძალიან ბევრი შეგვმატა. საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით გავთვითცნობიერდით, მასალები მოვიძიეთ ინტერნეტით, წიგნებიდან, სამოქალაქო განათლების გაკვეთილების მეშვეობით ტრენინგებს ვუტარებდით სკოლის მოსწავლეებს, ჩენი მუნიციპალიტეტის ოთხ სკოლას ვეწვიეთ პროექტის ფარგლებში. ქალაქის ქუჩებში მოვაწყვეთ ფლეშ-მობი, ცეკვით გამოვიტანეთ საინტერესო შინაარსის ბანერები, მოვაწყვეთ მარათონი, ხალხს უჩნდებოდა ასოციაცია, რომ ვიყავით რომელიმე პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები, მაგრამ ყველას განვუმარტავდით, რომ ჩვენი მიზანი იყო არა რომელიმე პარტიის, არამედ რაც შეიძლება, მეტი მოქალაქისათვის მიგვეწვდინა ხმა და მოგვეწოდებინა არჩევნებში მონაწილეობისაკენ. პირადად ამ პროექტში მონაწილეობით მივიღე საჯარო გამოსვლებში კიდევ მეტი გამოცდილება. გამარჯვების განცდას ისიც გვიმძაფრებს, რომ ყველა ჩვენი კონკურენტი ძალიან ძლიერი იყო".




გალაქტიონ ფახურიძე: "მესამე ტურში ჟიურის ათივე წევრმა 10 ქულით შეგვაფასა. "მადლი ქენი, ხმა მიეცი, გაიარე წინ დაგხვდება" _ ამ შინაარსის სლოგანმა დიდი მოწონება დაიმსახურა. ასევე კრეატიული ეჩვენათ ჩვენი ბანერი, რომელიც ზღაპარ "თალგამის" პრინციპზე ავაგეთ. მასში ასეთი შინაარსი ჩავდეთ: "კაცი თალგამი არ მიდიოდა არჩევნებზე, არ გაჭრა ოჯახის წევრთა თხოვნამ და გაჭრა ჩვენი გუნდის სლოგანმა და ჩვენ დავარწმუნეთ ის, წასულიყო და მიეცა ხმა. თალგამს ჩაჭიდებულთა რიგში თაგვის ნაცვლად გუნდი "Cambiatio" იდგა. თეკოს არც კი დაასრულებინეს პრეზენტაცია, იმდენად მოეწონათ და შთამბეჭდავი ეჩვენათ იდეის ჩვენეული გადაწყვეტა".

ვიტალი შენგელია: "საჯარო გამოსვლის დროს განვაცხადეთ რომ ჩვენ ვიყავით უცხოპლანეტელები, პლანეტა "დემოკრატიიდან" დედამიწაზე იმისთვის წარმოგზავნილნი, რომ საქართველოში დემოკრატია გაგვევითარებინა. ვამბობდით, რომ ჩვენ ვესტუმრეთ რამდენიმე ათასწლეულის წინ საბერძნეთს, 100 წლის წინ _ საქართველოს, თუმცა, ვხედავთ, რომ კიდევ სჭირდება მას დახმარება. ვიყავი ხმის რეჟისორი, ასევე სლაიდების. არა მარტო ჩვენი გუნდის სამი წევრი, არამედ, მთელი სკოლა ჩაერთო ამ ღონისძიებაში, დიდი იყო ყველას თანადგომა, რომ იტყვიან, ძალა ერთობაშია".

მე-9 საჯარო სკოლის დირექტორი ლალი ჭანტურია:

"როცა გავიგე ჩვენი გუნდის წარმატების შესახებ, ჩემს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. დარწმუნებული ვიყავი ჩვენი მოსწავლეების ნიჭიერებაში, შემოქმედებით აზროვნებაში, ვიცი, რომ აქვთ მოტივაციაც და ენთუზიაზმიც, მაგრამ, ეს იმდენად მასშტაბური პროექტი იყო, ვღელავდი. მათთან მუდმივი კონტაქტი მქონდა. უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ მათ შრომა დაუფასდათ. იმდენად მიზანსწრაფულნი არიან, როგორც ბავშვები, ისე მათი პედაგოგი, ქალბატონი ქეთინო, ის უღვივებს ინტერესს, უმაღლებს მოტივაციას, აძლევს რეკომენდაციებს, ეს მიღწეული შედეგი ნათელი და მკაფიო დასტურია იმისა, თუ რა მნიშვნელოვანია მოსწავლისა და მასწავლებლის ასეთი ურთიერთობა, ისინი ეძიებენ და პოულობენ, ბევრი კარგი ბავშვია სკოლაში, მაგრამ დიდი დანაკლისი იქნება თეასა და გალაქტიონის წასვლა ჩვენი სკოლიდან. მოგეხსენებათ, ორნი მე-12 კლასელები არიან. მჯერა, ესენი ცხოვრების ყველა ეტაპზე წარმატებულნი იქნებიან, ასევე ბედნიერი ადამიანი ვარ, ასეთი კარგი მესაჭე რომ ყავს ამ გუნდს ქეთინოს სახით.

---

**თარიღი**

## იაკობმა მოგვცა წიგნი

"სოფელი ვარიანი სძევს ლიახვის მარჯვენა ნაპირს, ქალაქ გორიდან შვიდი-რვა ვერსის მანძილზე. მცხოვრებნი სულ გლეხები არიან, ას კომლამდე. ახლო-მახლო ცხოვრობენ. ქვითკირის შენობა მხოლოდ ზოგიერთს უდგია. სხვები სცხოვრობენ ან მიწურში ქვა-ტალახა სახლებში, სახლებისვე გვერდით გაკეთებული აქვთ ბოსლები და ბაკები. ამის გამო სოფელს სისუფთავე აკლია". _ წერს ერთგან იაკობ გოგებაშვილი.

სწორედ სოფელ ვარიანში დაიბადა იგი 1840 წელს.

განუზომელია იაკობ გოგებაშვილის წვლილი, ამაგი, დამსახურება ნორჩი თაობის სრულქმნილ ადამიანებად აღზრდისა და ეროვნული პედაგოგიური აზროვნების ჩამოყალიბების მამულიშვილურ საქმეში.

მწვერვალი დიდი ერისკაცისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედებისა არის მის მიერ შექმნილი "დედაენა", რომელიც 1876 წელს გამოვიდა და რომლებზედაც თაობები აღიზარდა.

1976 წელს ქართველმა ერმა დიდი ზეიმით აღნიშნა იაკობ გოგებაშვილის "დედაენის" 100 წლის იუბილე, რაც თავისთავად, როგორც მოსალოდნელი იყო დიდი ერისკაცის ღვაწლის დაფასებაც გახლდათ.

საოცარი სიბრძნე ივითხება ძია იაკობის ყოველი ნააზრევიდან, რამდენიმე მათგანი გვინდა მოვაგონოთ მკითხველს.

**სწავლაზე ზარმაცი, ლეკურზე მამაცი**

_ ვანო სკოლაში წადიო,
_ ფეხები საშინლად მტკივაო,
_ ვანო, მოდი, ერთი ლეკური დაუარეო,
_ აბა, ერთი კარგი ტაში დაუკარითო.

**ზარმაცი და ბეჯითი**

_ სანდრომ უთხრა თავის დასა:
_ კეკე, ჯერ ვითამაშოთ, მერე ვიკითხოთო.
_ კეკემ უთხრა:
_ არა, ჯერ ვიკითხოთ, მერე ვითამაშოთო.



**ურგო ამხანაგი**

_ კოტე, მელანი მასესხეო.
_ შენთვის როდი მიყიდიაო?
_ კოტე, აჰა ვაშლიო
_ მოიტა, ჩქარა მომეო!

**ხოხბის მჭამელი**

გიგომ თქვა: ხოხბისთანა გემრიელი საჭმელი არა იქნება რაო.
_ გიჭამია შენაო? _ ჰკითხეს ტოლებმა.
_ არაო.
_ მაშ, რა იცი, რომ გემრიელიაო?
_ ბიძაჩემისაგან გამიგონია: ბატონი ხოხობსა სჭამდა და ტუჩებს აცმაცუნებდაო.

**თავისი თავის დასჯა**

პატარა ნიკოს ჯავრი სჭირდა თავისი დისა.
სადილის დროს ჩუმად ლობიოს შეჭამანდში ცოტა ნაცარი ჩაუყარა.
დამ თვალი შეასწრო და ძმას ჩუმადვე ჯამი შეუცვალა.
როცა სადილი გაათავეს, დამ სიცილით უთხრა ნიკოსა: _ ნაცრიანი შეჭამანდი გაამოსო.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ საქართველოში ძნელად მოიძებნება მეორე ადამიანი, ვინც იაკობ გოგებაშვილივით ახლოს იყო ცეროდენა გოგო-ბიჭებთან, სწვდებოდა მათ უმანკო სულს და მისეული სიბრძნით ასაზრდოებდა მათ.

1912 წელს ჩაიკრა გულში ქართულმა მიწამ იაკობ გოგებაშვილი.

მარად ჩვენი თანამედროვეა დიდი ერისკაცი.

**ლევან გაბრავა**

---

## უცნაური ამბები

სამყაროში მუდმივად ხდება უცნაური ამბები. აი, რამდენიმე უჩვეულო და საინტერესო, ერთი შეხედვით დაუჯერებელი ფაქტი:

ძველ ჩინეთში ექიმებს გასამრჯელოს მაშინ უხდიდნენ, როცა იმპერატორი ჯანმრთელად იყო, ხოლო როცა ავადმყოფობდა, მის გამოჯანმრთელებამდე ექიმები გასამრჯელოს გარეშე რჩებოდნენ.

ლეგენდარული მსახიობის მერლინ მონროს დედას შიზოფრენია სჭირდა.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა თოფიდან სროლაში, კაროია ტაკაჩამ, მარჯვენა ხელის ამპუტაცია გაიკეთა. ამ ამბიდნ 8 თვის შემდეგ მან მარცხენა ხელით მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა.

ასტრიდ ლინდგრენის ზღაპრის სახელი "პეპი გრძელი წინდა" მწერლის ქალიშვილმა, კარინმა მოიფიქრა.

უილიამ შექსპირის უმცროსმა გოგონამ წერა-კითხვა არ იცოდა. ყველაზე დიდ დროს, დაახლოებით ცხრა საათს დღეში, ტელევიზორთან იაპონელები ატარებენ.

მსოფლიოში ყოველდღიურად 4.5 მილიარდი ლიტრი ბენზინი გამოიყენება.

სტატისტიკის მიხედვით გერმანელები ყველაზე მაღლები არიან.

აშშ-ს მოსახლეობა ცხოველების მოსავლელად ყოველ წელს 5.4 მილიარდ დოლარს ხარჯავს.

იაპონიის ფართობში აშშ-ს ტერიტორიის 3% უდრის, მაგრამ მთელი იაპონიის მიწა 2-ჯერ მეტი ღირს, ვიდრე მთელი ამერიკის.

ხორვატიის ქალაქი ჰუმი მსოფლიოში ყველაზე პატარაა 17 მცხოვრებით. დედამიწა უფრო სწრაფად აგვისტოში ბრუნავს, ყველაზე ნელა კი მარტსა და აპრილში.

მზის გარშემო ორბიტაზე დედამიწა 30 კმ/წმ სიჩქარით მოძრაობს.

ყველაზე დაუსახლებელი ქვეყანა მონღოლეთია. იქ კვადრატულ კილომეტრზე 13 ადამიანზე ნაკლები ცხოვრობს.

ყველაზე მთაგორიანი ამერიკის შტატი ნევადაა, იქ 300-ზე მეტი მთაა დაფიქსირებული.

მთების ყველაზე დიდი ჯაჭვი ანდებია, იგი 6400 კმ სიგრძისაა და 7 სახელმწიფოს აერთიანებს.

კანადასთან შეერთებამდე კუნძული ნიუფაუნდლენდი დამოუკიდებელი სახელმწიფო გახლდათ.

ევერესტზე მისი დაპყრობის მცდელობისათვის დაღუპული ადამიანებისადმი მიძღვნილი მონუმენტია აღმართული. არსებული მონაცემებით აქ მინიმუმ 120 ცხედარია დაკარგული.

ლეგენდარულ კალათბურთელ მაიკლ ჯორდანს, როცა ის კოლეჯში მეორე კურსზე სწავლობდა, სიდაბლის გამო კალათბურთის გუნდში მიღებაზე უარი უთხრეს.

ინგლისელი კარიერისტების 89% დარწმუნებულია, რომ სამსახურებრივი რომანი სასარგებლოა ჯანმრთელობისა და კარიერისთვისაც.

მსოფლიო მასშტაბით მამაკაცების 63% მიაჩნია, რომ ბავშვს მამაც უნდა უვლიდეს.

შესაძლებელია ბამბუკის ხე 24 საათში 1 სანტიმეტრითაც კი გაიზარდოს.

ერთი წლის განმავლობაში ერთი ხე, დაახლოებით, 120 კილოგრამ ჟანგბადს გამოყოფს, რაც ორ ადამიანს სრულიად თავისუფლად მოამარაგებს ჰაერით.

შავი კატა აზიელებისათვის ბედნიერების მომტანად ითვლება.

საფრანგეთის ყველა მეფეს, ტრადიციისამებრ სენ-დენის ტაძარში კრძალავდნენ.

მსოფლიოში არსებული დიალექტებიდან ჩინურ დიალექტ მანდარინზე ყველაზე მეტი ადამიანი ლაპარაკობს.

1399 წლამდე ინგლისელი მეფეები ფრანგულად ლაპარაკობდნენ.

მინესოტას შტატში არსებულ "სუპერმარკეტ მოლ ოვ ამერიკას" ყოველწლიურად იმაზე მეტი ადამიანი სტუმრობს, ვიდრე დიდ კანიონსა და დისნეი ლენდს.

მსოფლიოში უძველესი მოქმედი უნივერსიტეტი იტალიის ჩრდილოეთით ქალაქ ბოლონიაში მდებარეობს. იგი ჯერ კიდევ 1088 წელს დაარსდა.

ლეგენდის თანახმად მეფე არტურის მრგვალი მაგიდის ირგვლივ 150 ადამიანი თავსდებოდა.

# „რომელი გუესმა და ვიხილეთ, გითხრობთ თქუენ“...

გვასწავლის წმინდა წერილი.

დიახ, ჩვენ, დღევანდელ საქართველოს, ქართველებს გვესმა არა ერთი სასწაული წმინდა ბერ, გაბრიელს რომ უკავშირდება.

წერილში გავბედეთ და ის რამდენიმე ეპიზოდი მოგვყავს მამა გაბრიელის ცხოვრებასა და მოწამეობრივ ყოფას რომ ასახავს, მკითხველს მის ნააზრევთან რომ აზიარებს:

"გაბრიელ ბერი სიმშვიდისა და გაწონასწორებულობის ცოცხალი მაგალითი იყო ყველასთვის, მაგრამ როდესაც სადმე ღვთის სწავლებისა და შეგონებების გადახვევას ხედავდა, მრისხანებდა; მისი სპეტაკი სახე მოიქუფრებოდა, სიტყვაელვასავით კვეთდა".

როცა მამა გაბრიელს ეკითხებოდნენ, თუ როგორ უნდა გავიგოთ ღვთის ნება, იგი პასუხობდა:

"რად გჭირდებათ ღვთის ნების გამოკვლევა? საჭიროების შემთხვევაში უფალი აგისრულებთ. თქვენ მხოლოდ ათი მცნების დაცვა, აღსარება და ზიარება მოგეთხოვებათ".

შეწუხებული მღვდლები მივიდნენ ერთხელ მამა გაბრიელთან და შესჩივლეს: _ ხალხი ძალიან შეიცვალა, სარწმუნოების ინტერესი გაუქრა და აღარ ვიცით, როგორ ვიქადაგოთო. ბერმა მიუგო: "საქართველოში ზნეობა რომ დაეცა, ამის შესახებ იქადაგეთ, სინდისი პატარა ღმერთია!"

ქადაგებისას მამა გაბრიელს ჰკითხეს: ყველა უნდა გვიყვარდეს?

"რას ამბობთ! სახარებაში როგორც წერია, ისე! შენი მტერი უნდა გიყვარდეს, ხოლო ქრისტეს მტერი როგორ უნდა შეიყვარო? მაგრამ არ უნდა გძულდეს, გებრალებოდეს". _იყო ბერის პასუხი.

ხუმრობაც ჰყვარებია მამა გაბრიელს, იგონებენ მისი თანამედროვენი.

როდესაც ზარზმის მონასტრიდან მანქანით შინ მიიყვანეს, მანქანიდან გადმოსულმა მამა გაბრიელმა ხელები მაღლა აღაპყრო და თქვა:

"_ ათასი მადლობა ღმერთს, _ შემდეგ მძღოლს მიუბრუნდა და უთხრა, _ ხუთასიც შენა".

ხანშიშესული პიროვნება მისულა ერთხელ მამა გაბრიელთან. თბილად, ალერსიანად მიუმართავს ბერს მისთვის:

"თან შეეზარდე მაგ ღვთის ვედრებას, რომ დიდხანს გაგყვეს უმანკოება, და სიბერეშიც ისევ ვარდისფრად გეხატებოდეს ქვეყნიერება".

ბერი გაბრიელის სულის ყოველი გოჯი, ყოველი მისხალი მოყვასის სიყვარულით იყო გაჯერებული.

შეუძლოდ იყო, სენაკიდან ვერ გამოდიოდა, როცა მისმა საოცარმა ხმამ შეაზანზარა სამთავროს მიდამოები:

"მიყვარხართ ყველანი!" ეს იყო გულიდან ამოძახილი იმ უსაზღვრო სიყვარულის გამოხატულება, რაშიც მასთან შემხვედრი ადამიანები ხშირად დარწმუნებულან.

"ჭეშმარიტება სულის უკვდავებაშია!" _ ბრძანებდა მამა გაბრიელი.

**მოამზადა ლევან გაბეჩავა**





## მცხეთობა-სვეტიცხოვლობა

მცხეთობა-სვეტიცხოვლობა იმართებოდა მცხეთის კათედრალურ ტაძარში, სვეტიცხოველში.

დღესასწაული ტაძარში აღმართული საკულტო სვეტის (სვეტიცხოველი) და ქრისტეს კვართის სადიდებელი დღესასწაულია.

ამ დღეს (14 ოქტომბერს) აღევლინება წირვა. მრავალი მლოცველი როგორც წინათ, ამჯერადაც მიდის აქ შესაწირავით.

ძველად, წირვის შემდეგ, მორწმუნენი ტაძრის გალავანში სუფრას შლიდნენ და იმართებოდა დიდი ლხინი, პურობა.

როგორც ცნობილია, ქრისტეს კვართი წილად ხვდათ მცხეთელ ებრაელებს, რომლებიც ქრისტეს ჯვარცმას ესწრებოდნენ.

ამ ლეგენდის ძირითადი იდეა _ სვეტიცხოვლის სასწაულმოქმედება წინაქრისტიანული ხანიდან მომდინარეობს და ცხოვრების ხის უძველეს მოტივთანაა დაკავშირებული.

14 ოქტომბერს სვეტიცხოველში, რომელიც ხუროთმოძღვარ არსაკიძის მიერაა აგებული, დიდი დღესასწაული იმართება, ყოველი კუთხიდან ჩადიან ამ დღეს მცხეთაში მორწმუნეები.

მცხეთობას _ სვეტიცხოვლობას გილოცავთ!

**ლევან გაბეჩავა**

## სხვათა ჯანმრთელობის სადარაჯოზე

არიან ქვეყნად ადამიანები, რომლებიც უპრეტენზიოდ, უანგაროდ ემსახურებიან ხალხის საერთო კეთილდღეობას და ჯანმრთელობის საქმეს, ისინი არ ხმაურობენ, არ ქედმაღლობენ, მხოლოდ შრომობენ, კეთილსინდისიერად და ბევრჯერ უფრო მეტ დროს სხვებისთვის მზრუნველობასა და დახმარებაში ატარებენ. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ქირურგი _ მკურნალი არჩილ ბეჟუაშვილი, რომელმაც 50 წელზე მეტი დაუღალავ შრომასა და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობაში გაატარა.

რკინიგზის მე-14 საშუალო სკოლადამთავრებულმა ბაბუის სპეციალობა აირჩია და სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბატონი არჩილი კარელიის ავტონომიურ რესპუბლიკაში რკინიგზელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე დგება და მათ მადლობას იმსახურებს თავისი გულისხმიერი მოპყრობით. ბატონი არჩილის ბიოგრაფია უაღრესად საინტერესოა. რკინიგზის საავადმყოფოში ქირურგიული განყოფილების გამგედ მისი მუშაობის პერიოდში, თავის ცოდნასა და გამოცდილებას არ იშურებს ავადმყოფთა განსაკურნავად. დღესაც დიდი სიხარულით ხვდებიან ხანდაზმულ კოლეგას თანამშრომლები და პაციენტები.

თუ რკინიგზის გაერთიანება პოლიკლინიკა-საავადმყოფოში მოხვედრილხართ და არჩილ ბეჟუაშვილს შეხვედრიხართ, უთუოდ დაგამახსოვრდებათ მისი თბილი, ყურადღებიანი მოპყრობა. იგი გულისხმიერებასთან ერთად მცოდნე ექიმიცაა. მან ბრწყინვალედ გაიარა კლინიკური ორდინატურა მოსკოვის სამედიცინო ქირურგიის ცენტრში. 1980 წლიდან შეთავსებით მუშაობს ქალაქის საავადმყოფოში ორდინატორად და განყოფილების გამგედ. ხოლო 2002 წლიდან სამტრედიის მრავალპროფილიან სამედიცინო ცენტრის ქირურგად. ის სიამოვნებით გადასცემს ახალგაზრდა ექიმებს თავის მდიდარ გამოცდილებას და ბრწყინვალე თეორიულ მომზადებას, რასაც ასე კარგად იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში. სხვათა შორის, ახლაგაზრდა მედმუშაკებთან გულისხმიერი ურთიერთობით ყოველთვის გამოირჩევა ეს ღვაწლმოსილი ექიმი. მათ თავის სამედიცინო ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებს. მსუბუქად ატარებს 50 წლის შრომის სტაჟის სიმძიმეს მედიცინის დამსახურებული მუშაკი და კვლავაც მხნედ და ენერგიულად ემსახურება რკინიგზელთა და ქალაქის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას. ყველგან, სადაც კი უმუშავია ბატონ არჩილს, იგი სარგებლობდა და ახლაც სარგებლობს კოლეგების, ხელქვეითებისა და აღზრდილების სიყვარულითა და პატივისცემით, კარგ მკურნალს და დაუზარელ ადამიანს დაფასება და პატივისცემა არ აკლია. მას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და მედალი.

ბატონი არჩილი ორი ვაჟიშვილისა და ოთხი შვილიშვილის მამა და ბაბუაა. მეუღლე ქალბატონი მიმოზა სამტრედიის მრავალპროფილიან ცენტრში ექიმ-ლაბორანტად მუშაობს. ორივე შვილი მშობლების პროფესიას გაჰყვნენ: გიორგი სტომატოლოგია, ხოლო აჩიკო _ ფარმაცევტი.

ბატონ არჩილთან ერთად რკინიგზელთა და ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობას ემსახურებიან ექიმები: თამაზ ჟორდანია, ნანა ცირეკიძე, ზურაბ ადამია, ირინა დოკაძე, ირაკლი ლაღიძე, გიორგი გამყრელიძე, ლელა ხურციძე, ასლან ბახტაძე, ნუკრი ფახურიძე და სხვები.

**რევაზ შამათავა**

## სამურ საქმეს დავიწყება არ ეგების!

თავის დროზე სამტრედიაში გადაწყდა მაცხოვრის სახელობის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე გამოეყოთ მიწის ნაკვეთი, სადაც დაიკრძალებოდნენ სამტრედიის თვალსაჩინო ადამიანები.

შეიძლება ითქვას, რომ სამტრედიაში ეს ადგილი "პანთეონის" სახელს ატარებს. აქ დაიკრძალნენ ქვეყნის, სამტრედიის თვალსაჩინო ადამიანები.

ამას წინათ, მისმა ოჯახმა, ახლობლებმა კიდევ ერთხელ პატივი მივაგეთ და გავიხსენეთ სახალხო გმირი ირაკლი ქუთათელაძე. სინანულის გრძნობა დაგვეუფლა, როდესაც ზოგიერთ საფლავს მზუნველობა აკლდა. საფლავის იერსახე არ ესადაგებოდა იმ მოკრძალებას, რასაც იქ დაკრძალული ადამიანები იმსახურებდნენ. სასურველი იქნება, თუ მის მოვლას განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ. აქვე გვინდა მადლიერება გამოვხატოთ მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ, რომელმაც იზრუნა და "დედის ძეგლთან" გახსნა 9 აპრილს დაღუპულთა, ცხინვალის, აფხაზეთისა და 1941-45 წ.წ. ომში დაღუპული მამულიშვილების სტენდი _ მემორიალი. ვფიქრობთ, კარგი იქნება, იქვე დაიდგას სახალხო გმირის _ ირაკლი ქუთათელაძის სტელა, რითაც უკვდავყოფთ გმირის სახელს.

**ძირძველი სამტრედიელები:**
**გია ბოქორიშვილი**
**მიხეილ კუპრეიშვილი**
**მამუკა ფრანგიშვილი**

## ისინი სამტრედიის ისტორიას ქმნიდნენ

145 წლის სამტრედიამ თავისი განვითარების საინტერესო ეტაპები გაირა. ჩემს და შემდგომ თაობებს გარკვეული წვლილი მიუძღვით მის იმდროინდელ სოციალურ და ეკონომიკურ აღმავლობაში.

თანდათან ყალიბდებოდა საზოგადოებრივი კვების, ვაჭრობის, საფინანსო მომსახურების ობიექტები. მათ ემსახურებოდა რკინიგზის კვანძის მცირე ავტოპარკი, რომელსაც გამოცდილი, მშრომელი ადამიანი ჭიჭიკო გიგინეიშვილი ხელმძღვანელობდა.

როცა საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ ვახსენოთ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული რესტორანი, რომელსაც ცნობილი ადამიანი კუტალაძე ხელმძღვანელობდა. მას წლების განმავლობაში სათავეში ედგნენ საქმის მცოდნე, ლეო შენგელია, კოკი თოფურია, ადეიშვილი, თინა წივწივაძე და სხვები.

უნდა გავიხსენოთ, ცოტა მოგვიანებით გახსნილი სახელგანთქმული "ცისკარა", შოთა ახობაძის ხელმძღვანელობით. აქვე მუშაობდნენ სამტრედიელებისთვის საყვარელი მომღერალი იური გვაზავა და ვაჭრობის გამოცდილი სპეციალისტი თემურ მეგრელიშვილი.

სამტრედია არ განიცდიდა ამ კუთხით საჭირო კადრების ნაკლებობას. ძველ კადრებს ინტენსიურად ემატებოდა ახალი კადრები: კოლია ბოკელავაძე, სერგო ყუფარაძე, სერგო ფახურიძე, ზურაბ გოგუაძე, ფაცია გრიგოლია, მარო კვანტალიანი, ტატიანა ხოშტარია და სხვანი.

ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციები არც უმაღლესი განათლების სპეციალისტების ნაკლებობას განიცდიდა, ლავროსი ჟვანია, რეზო მელქაძე, რაჟდენ კირთაძე, ჟორა შანიძე, სონია კრავეიშვილი, ლიზეტა ხუჭუა ვაჭრობის დარგში საზოგადოებრივი კვების ობიექტებში სასახელოდ მუშაობდნენ. მათთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ ალია ბახტაძე, კირილე მანჯგალაძე და სხვანი.

ქალაქში არსებული საფინანსო ორგანიზაციებიდან კარგად იყვნენ ცნობილნი: მიხეილ მელქაძე, შოთა ტორონჯაძე, ივანე ნარსია, პანტელეიმონ გრიგოლია, ვანიჩკა ფრანგიშვილი, ნორა პაპავა, ტერეზა ვაშაკიძე, თინა ტკვაცირია, ვაკო და რომან ნიკოლეიშვილები, აკაკი ხუჭუა.

სამტრედიაში არსებული საბანკო ორგანიზაციები ასევე დაკომპლექტებული იყო საქმის მცოდნე და უნარიანი ადამიანებით. მათ შორის, ქალაქის მოსახლეობისათვის კარგად ცნობილი ვერა მესხი, თამარ ქუნთელია, პელო ხაჟალია, მარო პაპავა, შალვა ტყებუჩავა, ვარლამ სტურუა, შალვა სტურუა, ვასილ ჯანელიძე, ზაურ ახობაძე, ნიკოლოზ გრიგოლია. "მშენბანკში" ენერგიულად იღვწოდნენ: ცეზარ ადეიშვილი, ანზორ ბოხუა, თემურ დვალიშვილი, ლეგინა წივწივაძე, ხოლო შემნახველ ბანკში შრომობდნენ: ელენე ამაშუკელი, ლუბა ტაბიძე, ოტია ფესვიანიძე, დავით შანიძე და სხვანი. "ცეკავშირის" ბაზაში კი გამოცდილი ეკონომისტები იყვნენ დაკავებული: ომარ ახობაძე, ბარნაბ სტურუა, ვაჟა სანადირაძე, ნოე სანადირაძე, სოსო გოგია, ნინა სტურუა.

წერილის ავტორის მიზანი იყო, ღვაწლმოსილი ადამიანების გახსენება, მოგონება. ზოგიერთი მათგანი გარდაცვლილია. ამ პატარა პუბლიკაციით მათ მეგობრები, ოჯახის წევრები, თანაქალაქელები კიდევ ერთხელ გაიხსენებენ. აქვე, მადლობას ვუხდი გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციას, ამ და მსგავსი შინაარსის წერილების გამოქვეყნებისთვის.

**ჟორა რევიშვილი**

# სწორუპოვარი წიგნი

გაგრძელება.
დასაწყისი N 27-ში

ბიბლიას ყურადღება არასოდეს მოჰკლებია, მაგრამ მისი ღრმა მეცნიერული შესწავლა რენესანსის პერიოდს უკავშირდება. სწორედ აღორძინების ხანაში იწყება ამ სწორუპოვარი ქმნილების სრულფასოვნად წარმოჩენა. ბიბლიის მეცნიერული შესწავლის პიონერები იყვნენ უდიდესი მოაზროვნეები, თუმცა იგი საბოლოოდ დღემდე არ არის შესწავლილი. ეჭვს იწვევს ბიბლიაში შეტანილი არაერთი წიგნის რეალობა, დაუდგენელია რიგი წიგნების დაწერის თარიღი.

როგორიც არ უნდა იყოს ბიბლიის წყაროთა საიმედობა, როგორიც არ უნდა იყოს დაწერილი მისი ესა თუ ის წიგნი, უმთავრესი ისაა, რომ მისმა გენიალურმა ავტორებმა სადავე დაუდეს კაცობრიობის აზროვნებაში არსებით გარდატეხას _ იქადაგეს და დაასაბუთეს მონოთეისტური რელიგიის სიდიადე. აღასრულეს ადამიანთა მარადიული ოცნება _ ეპოვათ ღმერთი, თვითოეულ მათგანს საკუთარ თავში შეეცნოთ უფალი.

ღმერთით ზეშთაგონებული ბიბლიის ავტორები ასაბუთებენ: ''ღმერთი შემოქმედია ყოველივე ხილულისა და არხილულისა. უფალმა შექმნა სამყარო. თავდაპირველად:

_ ღმერთმა ნათელი გაჰყარა ბნელისაგან და იქნა ნათელი, რის შემდგომ ნათელს ეწოდა დღე, ხოლო ბნელს ღამე (უფალს ბნელი არ შეუქმნია).

_ მეორე დღეს ღმერთმა ზღვარი გაავლო დედამიწასა და დედამიწის ზედა სივრცეს შორის და ეწოდა ზეცა.

_ მესამე დღეს ღმერთმა შექმნა მიწა და წყალი. ერთად შეკრა მთელი ცისქვეშეთი. ხმელეთს ეწოდა მიწა, ხოლო წყალს ზღვა.

_ მეოთხე დღეს ღმერთმა შექმნა ცისა და დედამიწის მნათობნი: მზე, მთვარე, ვარსკვლავები. სათავე დაუდო დღისა და ღამის განგებას, დღეებისა და წლების ათვლას, ამქვეყნიურ ნათელს _ პირველ დღეს.

_ მეხუთე დღეს ღმერთმა გააჩინა წყლის ბინადარნი და ცის ფრინველნი.

_ მეექვსე დღეს ღმერთმა შექმნა დედამიწის ბინადარნი, სამყაროს გვირგვინი _ ადამიანი.

_ მეშვიდე დღე _ შაბათი, ღმერთმა აკურთხა დასვენების დღედ (ებრაულად შაბათი შეწყვეტას და შემდგომ განახლებას ნიშნავს).

განუზომელი ღირსებებით დააჯილდოვა ღმერთმა ადამიანი, დაამსგავსა საკუთარ ხატებას, მოამადლა ღვთიური თვისებები: აზროვნების უნარი, გონიერება, ნებისყოფა, შემოქმედება. უფალმა შექმნა სამოთხე _ ედემის ბაღი, რომლის ყველაზე საპატიო და სპეტაკ ადგილზე განათავსა ადამიანი. ''აღორძინდით და იმრავლეთ'' დალოცა ღმერთმა ადამი და მისი მოდგმა.

მართალია, უფალმა დასაჯა სიტყვის გამტეხი ადამი და ევა, მაგრამ ადამიანებს დაუტოვა ცოდვების გამოსყიდვისა და სიკეთის ქმნის შესაძლებლობა.

''მე თქვენი სიკეთე მახარებს და არა მსხვერპლი'', _ ბრძანებს უფალი. შეუნდო ღმერთმა ადამსა და ევას ცოდვები, მისცა მათ ორი ვაჟი აბელი და კაენი. როდესაც კაენმა საკუთარი ძმა აბელი მოჰკლა, უფალმა კვლავ აპატია ცოდვა ადამიანს და ადამსა და ევას კიდევ ერთი ვაჟი სეითი აჩუქა.

კაცობრიობის გამრავლების საკითხის განხილვისას ბიბლიის ოპონენტები სვამენ ლოგიკურ კითხვას _ თუკი ადამსა და ევას მხოლოდ ვაჟები ჰყავდათ, როგორ გამრავლდა ადამის მოდგმა? ამდენად, ადამიანის წარმოშობის ბიბლიური ვერსია ღიმილს ჰგვრის ათეისტებს, ხოლო მეცნიერები დინჯად და საეჭვოდ აქნევენ თავს.

ადამის მოდგმამ ცდუნებას ვერც შემდეგ გაუძლო. იმძლავრა შურმა და ბოროტებამ, რისთვისაც ღმერთმა განიზრახა სამყაროს განადგურება. საბედნიეროდ, ამ ქვეყნად შემორჩენილი იყო ერთადერთი სათნო და ღვთისმოსავი კაცი ნოე თავისი ცოლ-შვილით. უფალმა იგი მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად წინასწარ გააფრთხილა. ღმერთისავე რჩევით ნოემ ააგო კიდობანი, ზედ დასვა თავისი ცოლ-შვილი, წყვილი ყოველი ცხოველისა და ფრინველისა, რითაც ისინი გადაარჩინა წარღვნას, რომელიც ბიბლიის თანახმად 40 დღეღამე გაგრძელდა.

ნოეს ჰყავდა სამი ვაჟი _ სემი, ქამი და იაფეტი, რომელთა შთამომავალია თანამედროვე კაცობრიობა. კერძოდ: სემისაგან _ სემიტური ხალხები (ებრაელები, არაბები და სხვა), ქამისაგან _ თურანელები, თურქ-მონღოლები, იაფეტისაგან _ შუმერები, ხეთები, ხურიტები, ელამელები, ეტრუსკები, პელაზგები, იბერები, ურარტუელები.

დიდია ბიბლიის, როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობა. მეცნიერებისათვის კიდევ უფრო დიდი იყო ბიბლიის მნიშვნელობა, როდესაც არ არსებობდა სხვა ისტორიული წერილობითი თუ ნივთიერი წყაროები. იმ პერიოდში ადამიანთა ცოდნას უძველესი ცივილიზაციების შესახებ მხოლოდ ბიბლია ავსებდა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულებები და მოკვლეული წერილობითი მასალები ხშირ შემთხვევაში ადასტურებენ ბიბლიის მიერ ჩვენამდე მოტანილ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების სისწორეს. მათ შორის თვით ისრაელის ისტორიას, შუამდინარეთიდან ებრაელთა განდევნას, ეგვიპტური, ასურულ-ბაბილონური თუ ხეთური ცივილიზაციების შესახებ ბიბლიურ გადმოცემებს. მეცნიერების გარკვეული ნაწილი ასევე სარწმუნოდ მიიჩნევს თავდაპირველად მხოლოდ ერთი საერთო ენის არსებობას.

ცნობილი არქეოლოგის, ლეარდის მიერ აღმოჩენილი თიხის მრავალრიცხოვანი ფირფიტების ამოკითხვით დადგინდა, რომ დაახლოებით ხუთი ათასი წლის წინათ, ანუ ბიბლიის დაწერამდე სულ ცოტა 15 საუკუნით ადრე, შუამდინარეთში, კერძოდ, ქალაქ შურუქაკში ადგილი ჰქონდა ბიბლიურის ანალოგიურ წარღვნას. ხოლო ნოე იყო რეალური პიროვნება _ შურუქაკის ქალაქ-სახელმწიფოს მეფე.

ბოლოდროინდელი მეცნიერული კვლევების საფუძველზე ასევე დგინდება, რომ მესოპოტამიაში ნამდვილად ჰქონდა ადგილი დიდ წყალდიდობას. ნოე გადარჩენილა, მაგრამ იმ მიზეზით, რომ მას ამ დროს მრავალსექციანი ნავებით სხვა ქვეყანაში სხვადასხვა ცხოველები ჰყავდა წაყვანილი გასაყიდად. ამასთან, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მდინარე ევფრატის ადიდების შემთხვევაში წყლით შეიძლება დაიფაროს მხოლოდ მესოპოტამია და არა მთელი დედამიწა, როგორც ამას ბიბლია გვაუწყებს.

შუამდინარეთში მომხდარი წყალდიდობის შესახებ ასევე გადმოგვცემს ცნობილი მითი გელგამეშის შესახებ, რომლის მიხედვით წყალდიდობა გაგრძელდა 7 დღე-ღამის მანძილზე. ამავე მითის მთავარი გმირი უთნაპიშტიმი წარღვნას გადაურჩა ასევე კიდობნის მეშვეობით, რომელიც ბაჰრეინის ტერიტორიაზე გარიყულა.

მიუხედავად რიგ საკითხებში ტენდენციურობისა და ებრაელი ხალხის ''რჩეულად'' წარმოჩენის მცდელობისა, განუსაზღვრელად დიდია ბიბლიის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა და ისტორიული ღირებულება. მეცნიერულად დადასტურებულია ბიბლიის ისტორიული წიგნების სისწორე. მათ შორის შუა მდინარეთიდან ებრაელთა განდევნა ქალდეველთა მიერ, მათი ეგვიპტეში ცხოვრება, იქედან გადმოსვლა და ქანაანში ''აღთქმულ მიწაზე'' დასახლება. ისრაელის სახელმწიფოს შექმნა, მისი სახელგანთქმული მეფეების, დავითისა და სოლომონის საქვეყნოდ ცნობილი მოღვაწეობა და ა. შ.

ბიბლია ასევე სწორად გადმოგვცემს ისრაელის შემდგომი პერიოდის ისტორიას, რომ სოლომონის მეფობის შემდეგ ისრაელი გაიყო ორ ნაწილად _ ჩრდილოეთ და სამხრეთ სამეფოებად. ისრაელის დაპყრობას ასურეთისა და ბაბილონის მიერ სპარსეთის მეფის განგებით ბაბილონელთაგან დევნილი ებრაელი ხალხის მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნებას.

ბიბლია მდიდარი წყაროა მეცნიერების სხვა დარგებისთვისაც. მასში 35 საუკუნის წინ განცხადდა, რომ დედამიწა თავის გარშემო ცარიელ სივრცეშია დაკიდებული და როგორც ესაია ამბობს: ''ღმერთს უპყრია სირგუალე ქვეყნისანი''. და ყოველივე ეს დაიწერა მაშინ, როდესაც ადამიანებს სჯეროდათ, რომ დედამიწა ეკავა ზღვის დიდი კუს ზურგზე მდგარ ოთხ სპილოს.

ისიც ნათელია, რომ ებრაელი ხალხის ''რჩეულობის'' მანიით შეპყრობილი ბიბლიის ავტორები არ ცოდნით თუ წინასწარი განზრახვით სდუმან იმდროინდელი მაღალგანვითარებული ხალხის მიღწევების შესახებ. ძნელად სარწმუნოა, რომ ღმერთის მიერ შთაგონებულ, ბიბლიის გენიალურ ავტორებს არ სცოდნოდათ მათი წინაპრების მშობლიურ შუა მდინარეთში ''კაცობრიობის ცივილიზაციის აკვნის'', შუმერთა სახელმწიფოს არსებობა. ამ საოცარი ხალხის ისტორია, რომლებმაც 45 საუკუნის წინ (თუ უფრო ადრე არა) იცოდნენ მზის სისტემის 12 პლანეტის არსებობა (თანამედროვე მეცნიერებამ კი მხოლოდ ცხრა იცის), ბიბლიის პირველი თავების დაწერამდე, სულ ცოტა 10 საუკუნით ადრე, დაადგინეს წელიწადის ხანგრძლივობა, რომ დედამიწა მრგვალია და ბრუნავს მზის გარშემო (ეს მაშინ, როდესაც ევროპაში ამის თქმისთვისაც კი 3-4 საუკუნის წინ ადამიანებს კოცონზე წვავდნენ). მათვე შეძლეს მთვარის ბრუნვის ზუსტი გაანგარიშება, წელიწადი დაჰყვეს თვეებად, დღეებად, საათებად, წუთებად. რაც მთავარია, ყოველივე ეს ემთხვევა თანამედროვე მეცნიერების გათვლებს და ცდომილება ფაქტობრივად უმნიშვნელოა.

შუმერები იყვნენ უნიკალური არქიტექტორები _ მათ ეკუთვნით ისეთი არქიტექტურული მიღწევა, როგორიცაა თაღოვანი ნაგებობები. ისინი კითხულობდნენ მილიონ და მეტი ოდენობის ციფრებს მაშინ, როდესაც ევროპაში მილიონის ცნება და თაღოვანი არქიტექტურა მხოლოდ XIX საუკუნიდან ხდება ცნობილი.

ბიბლიიის ავტორებს, რომელთა შორის ზოგი თანამედროვე და თვითმხილველი იყო, ასევე შეუძლებელია არ სცოდნოდათ უძველესი ეგვიპტური ცივილიზაციის მიღწევები და მნიშვნელობა. შეუძლებელია, რომ მათ არ სმენოდათ ან საკუთარი თვალით არ ენახათ კაცობრიობის საოცრებანი _ ეგვიპტური პირამიდები, სფინქსის ქანდაკება, ტუტანჰამონის აკლდამა თუ მეფეთა ველის იგავმიუწვდომელი ქმნილებანი. რაოდენ ობიექტურნი იქნებოდნენ და კიდევ უფრო ამაღლდებოდნენ ზენაარ ნიჭით მოსილი ბიბლიის ავტორები, რომ მათ თანამედროვე სხვა ხალხთა ისტორია ღირსეულად, დამსახურებისამებრ აღეწერათ, და ისინი მხოლოდ უსამართლო მტარვალ ბრბოდ არ წარმოეჩინათ.

ასევე ძნელად სარწმუნოა, რომ ბიბლიის ავტორებს არ სცოდნოდათ თავიანთი ეთნარგის _ აბრაამის სამშობლო მესოპოტამიაში შექმნილი თქმულება გელგამიშის შესახებ, რომლის ანალოგიურ ბიბლიურ წარღვნაში მხოლოდ მოქმედი გმირების სახელებია შეცვლილი.

ბიბლიის ავტორთა მიერ ზემოაღნიშნული ფაქტებისა და მოვლენების, ასევე, ძველი ეგვიპტისა და შუმერული ცივილიზაციების ობიექტური გადმოცემა და მათეული შეფასებები კიდევ უფრო სრულყოფილს გახდიდა და გაამდიდრებდა ადამიანთა ცოდნას იმდროინდელი კაცობრიობის კულტურის, მეცნიერების არქიტექტურისა და საერთოდ, მაშინდელი სამყაროს ადამიანთა მიღწევების შესახებ.

ყოველივე ეს მხოლოდ სურვილებია. ბიბლია უამისოდაც ადამიანის აზროვნების უბადლო მიღწევა, უპირველესი ფილოსოფიური, თეოლოგიური, ზნეობრივი ქმნილება, სიბრძნის სიმფონიაა.

სამუდამოდ აღიბეჭდა ადამიანთა ყოველდღიურ ყოფაში, მეხსიერებასა და აზროვნებაში ბიბლიის პოეტური ქმნილებები, საგალობლები, ხატოვანი გამოთქმები, რაც ადამიანებმა ისე გაითავისეს, რომ საკუთარი, მშობლიური ხალხის სიბრძნედ და გამონათქვამებად მიიჩნევენ. თუნდაც ასეთი სიბრძნე: ''დასაბამი ყოვლისა არის სიტყვა'' (ზირაქი), ''ენასა ცრუსა სძულს ჭეშმარიტი'' (იგავთა წიგნი), ''ვაი მწერალთა უკეთურობისა, რამეთუ უკეთურობას ქმნიან'' (ესაია), ''ვითარცა მე ვუყავ მათ, ეგრემცა მე მომაგო ღმერთმა'' (მსაჯულნი''), ''ვინცა ქარს სთესს, ქარიშხალს მოიმკის'' (მოსე), ''კაცი მოსისხლე და მზაკვარი სძაგს უფალსა'' (ფსალმუნები), ''არაფერია ცისქვეშ ახალი, ბევრ სიბრძნეში ბევრი დარდია'' (ეკლესიასტე).

ბიბლიის ავტორთა სიბრძნე ნათლად ჩანს მათივე გმირების შეფასებები. ისინი ობიექტურად აღწერენ რა გმირთა ხასიათსა და თვისებებს, არ ერიდებიან მათი ნაკლისა და ცოდვათა მხილებას, თუნდაც ისინი ღვთის რჩეულნი ყოფილიყვნენ. ისინი ააშკარავებენ ებრაელთათვის თვით ღმერთის მიერ შერჩეული მეფის _ დავითის ავხორცობას, სოლომონ ბრძენის სულმოკლეობასა და ჩადენილ ცოდვებს, ებრაელთა ღმერთკაცისა _ მოსეს შეცდომებს.

პირუთვნელობამ, მიუკერძოებლობამ და სამართლიანობამ კიდევ უფრო ღვთიური და საიმედო გახადა ბიბლია. იესო ნაზარეველმა კი უიარაღოდ, სიმართლითა და სიყვარულით დაიპყრო ბევრად მეტი ადამიანის გული, ვიდრე ყველა დროის ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ და მხედართმთავარმა ერთად აღებული. იესოს დარი სიტყვები არ წარმოუთქვამს არც ერთ მწერალსა და ორატორს.

ბიბლია ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი წიგნია. იგი ყველაზე მეტ ენაზეა თარგმნილი და ყველაზე დიდი ტირაჟითაა გამოცემული. ბიბლიის წაკითხვა შესაძლებელია 2 ათასზე მეტ ენასა და 4 ათასამდე დიალექტზე. ამ ღვთიური წიგნის წაკითხვა შეუძლია დედამიწის წერაკითხვის მცოდნე მოსახლეობის 98 პროცენტს. საზოგადოების მოთხოვნა, რომ იქნას დაკმაყოფილებული, ყოველდღიურად ბიბლიის 40 ათასამდე ეგზემპლარი უნდა გამოიცეს. შემთხვევითი როდია, რომ კაცობრიობის ისტორიაში პირველ გიუტენბერგის სტამბაში, პირველად სწორედ ბიბლია დაიბეჭდა. ხოლო ქართლის მეფე ვახტანგ VI თავისივე დაარსებულ ქართულ სტამბაში პირველ წიგნად სახარება გამოსცა.

განუზომელია ბიბლიის როლი ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში. იგი შეიქმნა

როგორც იდეურ-თეოლოგიური საფუძველი და ყველაზე სრულყოფილი სწავლება მონოთეიზმისა, რომელზედაც აღმოცენდა მსოფლიოს წამყვანი რელიგიები: იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი.

ბიბლიის მეორე ძირითადი ნაწილი _ ახალი აღთქმა დაედო საფუძვლად მსოფლიოს ცივილიზებული სამყაროს უპირველეს რელიგიას _ ქრისტიანობას. ''საღვთო წიგნების'' ეს კრებული გვაუწყებს იესო ქრისტეს დაბადებას, ცხოვრებას, მოღვაწეობას, გადმოგვცემს ქრისტეს სწავლებას, ჯვარცმას ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად, მის მიერ სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვას, აღდგომასა და ზეცად ამაღლებას.

ახალი აღთქმის წიგნების (სულ 27 წიგნი) პირველი ნაწილია ''ოთხთავი'', ანუ 4 სახარება _ მათესი, მარკოზის, ლუკასი და იოანესი. მას მოსდევს ''საქმე მოციქულთა'', ''კათოლიკე ეპისტოლენი'' (7), ''ეპისტოლენი წმიდისა მოციქულისა პავლესნი''. (14), ''გამოცხადება იოანესი'', ანუ ''აპოკალიფსისი''.

''ახალი აღთქმა'' შეიქმნა ახალი წელთაღრიცხვის I და II საუკუნეებში.

ყველაზე ადრინდელი ნაწილი ახალი აღთქმის არის ''გამოცხადება იოანესი''. ხოლო სახარებანი II საუკუნის შუა ხანებს განეკუთვნება. თავდაპირველად ახალი აღთქმა შეიცავდა 30 სახარებასა და ათეულობით გამოცხადებას. ''ახალი აღთქმა'' თანამედროვე სახით დაკანონდა 364 წელს ლაოდიკეის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით. თუმცა ზოგიერთი ცვლილებები და შესწორებები ''ახალ აღთქმაში'' შემდგომშიც იქნა შეტანილი.

ახალი აღთქმა შეიცავს ქრისტეს მოწაფეთა თხრობებს, თავიანთი მასწავლებლის, იესო ნაზარეველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, გვამცნობს მოციქულთა საქმეებს, გადმოგვცემს კორინთელების, გალატელების, ფილიპელების, თესალონიკელების ურთიერთობას ებრაელებთან, გვაუწყებს იოანეს გამოცხადებას, იუდას გამცემლობას და სხვა.

''ახალი აღთქმის'' ცენტრი და გულია იესო ქრისტე _ ცენტრი და გული ისტორიისა, ცენტრი და გული ადამის ძეთა, სათავე კაცთა მოდგმის დიდებისა, ცოცხალი ღმერთი ადამიანის სხეულით გასხივოსნებული, ჯვარცმული კაცთა ცოდვების გამოსასყიდად, სიკვდილით სიკვდილის დამთრგუნველი, მკვდრეთით აღმდგარი და ზეცად ამაღლებული.

იესო ქრისტე ადამიანთა რწმენაში დამკვიდრდა, როგორც მაცოცხლებელი სამყაროსი, სიმბოლო ბოროტებაზე სიკეთის გამარჯვებისა, წყარო ცოდნისა და შთაგონებისა.

იესო ქრისტეს მოწაფეებმა ღირსეულად შეასრულეს თავიანთი მასწავლებლის ანდერძი. განკაცებული ღმერთის მოვლენის მაუწყებლად და სახარებლად, ისინი მოეფინნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეს, უპირველესად იმდროინდელ მაღალი ცივილიზაციის ქვეყნებს. მცირე აზიას, საბერძნეთს, რომს, სადაც იქადაგეს ქრისტეს მოძღვრება.

ბიბლიის ავტორისეული ტექსტის ხელყოფისაგან დაცვა ყოველთვის დიდ ყურადღებას მოითხოვდა. ამ მეტად საპატიო და უმნიშვნელოვანეს საქმეს ყოველთვის დიდი გულისყურითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თვით ბიბლიის შემოქმედი ხალხი _ ებრაელები. მათ ბიბლიის ტექსტის საიმედოობისათვის იმთავითვე უმკაცრესი კონტროლი დააწესეს _ შექმნეს ბიბლიის ტექსტის გადაწერის სპეციალური სისტემა, დააარსეს საგანგებო სკოლები, შეიმუშავეს კონტროლის ისეთი ფორმები, რომელიც მაქსიმალურად გამორიცხავდა შეცდომებს და უზუსტობას.

ეს სისტემა დაახლოებით ასე წარმოგვიდგება:

_ ხელნაწერი უნდა შესრულებულიყო შეურყვნელი ცხოველის ტყავზე, ხოლო შესრულებული ნამუშევარი სინაგოგისათვის უნდა გადაეცა მხოლოდ ებრაელს.

_ ყოველ პერგამენტზე უნდა განთავსებულიყო სვეტების წინასწარ დადგენილი რაოდენობა.

_ თითოეულ სვეტში უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 48 სტროფი და არა უმეტეს 60 ბწკარი.

_ ყოველ ბწკარში უნდა ყოფილიყო 30 ასო.

_ თითოეული დაწერილი სიტყვა გაზომილი უნდა ყოფილიყო სახაზავით.

_ მელანი უნდა ყოფილიყო სპეციალური რეცეპტით დამზადებული და უცილობლად შავი ფერის.

_ გადამწერს სუფთად უნდა შეესრულებინა და დაეცვა თითოეული სიტყვა, ასო და სასვენი ნიშანი. ერთი შეცდომაც კი საკმარისი იყო, რომ ნაშრომი გაენადგურებინათ.

_ ყოველ ორ თანხმოვანს შორის მანძილი უნდა ყოფილიყო თმის ამ მისი სისქის ძაფის ტოლი.

_ ორ აბზაცს შორის მანძილი უნდა ყოფილიყო 9 თანხმოვანისათვის საჭირო მანძილის ტოლი.

_ ბიბლიის ცალკეულ წიგნებს შორის დაცილება უნდა ყოფილიყო სამი ბწკარის ადგილის ტოლი.

_ მოსეს ''ხუთწიგნეულის'' მეხუთე წიგნი ისე უნდა დაემთავრებინათ, რომ ბოლო ბწკარი არ გადაეტანათ.

_ ბიბლიის გადამწერს აუცილებლად უნდა სცმოდა ებრაული ნაციონალური ტანსაცმელი.

_ მუშაობის დაწყების წინ გადამწერს ტანი უნდა დაებანა.

_ ღმერთის სახელი არ უნდა დაწერილიყო მელანში ახლად ჩაწებული კალმით.

_ მუშაობის პროცესში გადამწერს ყურადღება არ უნდა მიექცია არავისთვის, თუნდაც მეფე შემოსულიყო.

***პროფესორი დემურ ლალანიძე***

***გაგრძელება შემდეგ ნომერში.***

# ახალი ლექსები

<u>ბუნების სურათები</u>

**სურათი პირველი**

ქარების შემდეგ თითქოს
დაღლილი
დიდი კატები ჭრელ ღრუბლებად
ჩამოსხდნენ ცაზე,
და სიბნელეში როგორც სოროდან
ღამეში მოჩანს თაგვის კუდივით
ახალი მთვარე...

**სურათი მეორე**

წვიმების შემდეგ
გასათხოვარ ქალივით თითქოს
წვიმის წვეთები საყურეებად
ჰკიდია ყურძენს.
თეთრ ღრუბლისქულა
ნახევარმთვარეს მიკვრია ისე,
თითქოს პატარას შერჩენია
დედის რძე ტუჩზე...

**სურათი მესამე**

სვანეთი მოჩანს თეთრ ნისლებიდან,
ტკბილ სიზმრებიდან გადმოსულივით,
კოშკებს ჩაუცვამთ ტანზე შავი
ღრუბლის ჩოხები
და თეთრი მთვარე ახურიათ
სვანურ ქუდივით...

**სურათი მეოთხე**

გულამოსკვნილი წვიმდა და წვიმდა,
სადღაც ტიროდა პატარა მწარედ,
მზე დაგვეკარგა და ღამეს თითქოს
შვილის გადაშლილ სურათივით ეკიდა
მთვარე...

**სურათი მეხუთე**

ისე გავიდა ეს გაზაფხული,
გამოთხოვება მზესთან გეძნელა,
წვიმაში ვიღაც ჩქარა გარბოდა,
დღე გათავდა და გადატეხილ მარაოსავით
მიწაზე ეგდო თეთრი პეპელა...

**ეს ლექსი**

მე ამოვედი საფლავიდან,
როგორც მცენარე
და ვემსგავსები, ვემსგავსები უბრალო ბალახს,
რომ არ დავსვარო დაწმენდილი დიდი ოთახი,
მე ამ ფურცელზე ვისუფთავებ ზეციურ ტალახს...
ის დღეც დაწუნებულ ლექსივით თითქოს,
იფერფლება და შავ ფერფლივით გვეყრება ღამე.
და სანთელივით ჩამოქნილ ალვას
ამ ცეცხლმოდებულ ლექსიდან თითქოს
გადაუკიდეს ნახევარმთვარე.
მე ამოვედი საფლავიდან, როგორც მცენარე
და ვემსგავსები, ვემსგავსები უბრალო ბალახს,
რომ არ დავსვარო დაწმენდილი თქვენი ოთახი,
მე ამ ფურცელზე ვისუფთავებ ზეციურ ტალახს...

**ისეთი დღეა**

ისეთი დღეა, თითქოს ხატავენ
მზეს ცის ფურცელზე,
უცებ წაუტყდათ ფანქრის წვერი და
და დაკაწრული ზეცის ტილოდან
წვიმა სისხლივით გადმოეკიდა...
და ნახატი მზე ისე დაალტო,
გადმოეფინა მელნად ღრუბელი
და ცრემლით დასვრილ ცხვირსახოცივით
ეგდო მიწაზე ამ დედის კიდევ
ერთი ფურცელი?

**მერცხლები**

არ უნდოდათ წასვლა
არაფრით,
თითქოს ცრემლებით
დაგვემშვიდობნენ,
ჩვენ რომ გულები გვქონოდა
თბილი
ალბათ, მერცხლები თბილ ქვეყნებისკენ
არ წავიდოდნენ...

**კოდალა**

მზის ბუდეები დასტოვა უკვე
ჭრელი კუდით და ოდნავ მომქრალივით _
კოდალასავით უკაკუნებს
და ამოჰყავს ბარო მატლივით დაკლაკნილი
ნორჩი ფოთოლი.

*<u>ერმილე თოფურია</u>*

<u>სულის ვედრება</u>

**ვუძღვნი დიანა ღურწკაიას**

სულის წადილი, სევდანარევი...
გული დამწვარი ილვიძებს ოდეს,
ოდეს ტკივილებს ვერ მოვერევი,
სირინოზის ხმა მომაჯადოვებს.
სურვილს ამინთებს ხალისის წამი,
გულს მოერევა გრძნობა თავხედი,
გრძნობა უთუოდ რამ საფიცარი,
მარად ტრფიალით, ტრფობის თანხვედრი.
რა ვქნა, გული ხომ გათბობას ითხოვს!
განა ყოველთვის შიშით მდუმარებს,
მოაგონდება, ოდესღაც, თითქოს,
მზე ლაჟვარდებში გადაუმალეს,
და ვით იქნება, ხმა ტკბილზე-ტკბილი
ბულბულის ენას არ შევადარო,
არ მივაწვდინო ზეცას განცდილი,
სულის ვედრება რამ სათაყვანო.

**გულისწყრომას გამოხატვა არ ელის**

თქვენ წარსულთან შერიგებას აპირებთ,
გულისწყრომას გამოხატვა არ ელის,
გაცდით განცდილ ქარიშხლოვან ნაპირებს
და გულს ითბობთ ახლა ტრფობის გამხელით.
დროს ღიმილი არ სცილდება ბაგეზე,
თითქოს ესმის ჩვენი გულისნადები,
რომ სურვილად შენს გაზაფხულს აწესებ,
გაზაფხულის განცდით დანაბადები.
საჩივარი, თითქოს, გულში კვდებოდეს,
რომ ამ სოფლის ვერაფერი გაიგე,
მაგრამ სული მანამ გაგიწყრებოდეს,
თავს განცდილი შთაგონებით არიგებ.

**ვით წყაროს თვალი**

შენ, რაღაც გჯერა ამ სოფელში წმინდა ედემის,
აჰ, გულო ჩემო, დამიჯერე აღარც მაკვირვებს,
თუმც, მაინც გიკვირს სიყვარულით დაიმედების,
საბედისწერო დაეჭვება გასცდა ნაპირებს.
წარსულთან ახლოს ღონემიხდილს ოდეს გიხილავთ,
შენთან გავჩნდები, შენ ეს იცი, საკვირველ ძალით,
ყოველი მცნება, ჩვენ ორივეს მზემ გაგვიმხილა
და ჩვენ მზე მაინც, სამწუხაროდ, ვერ შევიცანით,
თუმც, გაზაფხულთან გვაახლოვებს ჩვენ მზე ყოველთვის,
გულო, შენს ფიქრში, დარდი მაინც აღარ ილევა,
მოდის საიდან, ან რა ძალით, ის ჩვენს სულს ერთვის
ვით წყაროს თვალი, ერთი ყლუპით არ დაილევა.

*<u>დავით ჩირგაძე</u>*

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს გულიკო გოგიტიძესა და ბაჩუკი ჩაბრაძეს დედამთილისა და ბებიის, ქალბატონი

**ვარა ქველაძე-ჩაბრაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სამტრედიის რაიონული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე

**თამარ ნიკოლეიშვილი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთი ''სამტრედიის მაცნე'' თანაუგრძნობს მედეა ლეჟავას მამის, ბატონი

**ავთანდილ ლეჟავას**

გარდაცვალების გამო.

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ავთანდილ ლეჟავა**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ბეჟან გოგია ოჯახით თანაუგრძნობს ლეჟავების ოჯახს, ბატონი

**ავთანდილ ლეჟავას**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონებს ზოია და ნათელა ვაშაკიძეებს ძმის, ბატონი

**ჯემალ ვაშაკიძის**

გარდაცვალების გამო.

ნათელა და ვაჟა ტერელაძეები თანაუგრძნობენ ქალბატონებს, ზოია და ნათელა ვაშაკიძეებს ძმის, ბატონი

**ჯემალ ვაშაკიძის**

გარდაცვალების გამო.

გულიკო და თამაზ მიქაძეები თანაუგრძნობენ ქალბატონებს, ზოია და ნათელა ვაშაკიძეებს ძმის, ბატონი

**ჯემალ ვაშაკიძის**

გარდაცვალების გამო.

---

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი მწუხარებას გამოთქვამს მეორე მსოფლიო ომის მონაწილე

**მიხეილ ბახტაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# სასმელი წყალი სიცოცხლის წყაროა

ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის წყალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

დადგენილია, რომ ახალდაბადებული ბავშვის სხეულის მასის 90% წყალზე მოდის, მოზრდილის 70-80%. კრიტიკულად ითვლება 55% _ სწორედ ამ რაოდენობით შეიცავს სითხეს სიბერით მომაკვდავი ადამიანი. რამდენი წყალი უნდა ვსვათ? ამ კითხვაზე პასუხი საკმაოდ რთულია.

ჩვენი ორგანიზმისთვის მავნებელია როგორც წყლის ნაკლებობა, ასევე სიჭარბე. წყლის ნაკლებობისას, ორგანიზმს შეიძლება დაეწყოს გაუწყლოება, რომელიც თავის მხრივ მრავალი ორგანოს ფუნქციონირების დარღვევას იწვევს.



წყლის ჭარბი მოხმარება კი უარყოფითად აისახება გულის მუშაობაზე, გამოყოფის სისტემაზე, იწვევს ორგანიზმიდან ვიტამინების და მინერალური მარილების გამორეცხვას, ოფლიანობას. არ უნდა დაგვავიწყდეს, წყალს პრაქტიკულად ყველა პროდუქტი შეიცავს. ხილის უმეტესობაში წყლის შემცველობა 80%-ია, ხორცში, კვერცხში, კარტოფილში _ 75%, რძეში, ნაღებში, კეფირში _ საშუალოდ 85%. პურში 30-40%. ჩვენს ორგანიზმში არის წყლის რეგულირების მექანიზმი _ ესაა წყურვილის გრძნობა. ამასთან, უნდა განვასხვავოთ ჭეშმარიტი და ცრუ წყურვილი. ზოგჯერ, მაგალითად, ლაშქრობისას, ფიზიკური დატვირთვისას, ცხარე კერძების მიღებისას, პირის ლორწოვანი გარსი შრება და გვეჩვენება, რომ ეს წყურვილის გრძნობაა (ცრუ). ამ შემთხვევაში საკმარისია პირში გამოვივლოთ წყალი. თუ გამოვლებით წყურვილის გრძნობა გაქრა, ე. ი. ეს ცრუ წყურვილის გრძნობა იყო. ალბათ შეგიმჩნევიათ, ასე იქცევიან სპორტსმენები. წყურვილის ჭეშმარიტი გრძნობა ჩნდება როცა ორგანიზმს წყალი არასაკმარისი რაოდენობით მიეწოდება ან რაიმე მიზეზით ორგანიზმმა დიდი რაოდენობით წყალი დახარჯა (მაგალითად, ღებინებისას, ფაღარათის დროს, ოფლის დიდი რაოდენობით გამოყოფისას, დამწვრობისას და ა. შ.) როცა ორგანიზმს წყალი არასაკმარისად მიეწოდება, წყურვილის გრძნობა ჩვეულებრივი წყლით უნდა მოვიკლათ.

დიდი რაოდენობით წყლის დაკარგვის დროს რეკომენდებულია სპეციალური მარილების შემცველი ან მინერალური წყლის მიღება. რაც შეეხება გაზირებულ წყალს, მასში შემავალმა ნახშირმჟავა გაზმა შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტი წყურვილი, გარდა ამისა, არც თუ კარგად აისახება საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მუშაობაზე. მით უმეტეს, არ ღირს ტკბილი გაზირებული წყლების დალევა, რომლებიც ათასგვარ ქიმიურ დანამატებს შეიცავენ.

ბოლოს, რამდენიმე რჩევა:

რაც შეიძლება ნაკლები ცხარე, მჟავე, შებოლილი პროდუქტი მიიღეთ, განსაკუთრებით ცხელ ამინდსა და ფიზიკური დატვირთვისას.

არ დალიოთ ბევრი წყალი ფიზიკური დატვირთვის წინ და დატვირთვის პერიოდში.

ჯობს წყალი მიიღოთ არა ჭამის წინ და ჭამის დროს, როგორც ეს მიღებულია, არამედ ჭამიდან ერთი ან საათნახევრის შემდეგ.

# ვულოცავთ!

**ქალბატონ თალიკო მიქაძეს!**

სულითა და გულით, ქრისტესმიერი სიყვარულით გილოცავთ 90 წლის შესრულებას, უფლის ლოცვა-კურთხევა არ მოჰკლებოდეს თქვენს დიდებულ ოჯახს, თქვენსავით კეთილშობილებითა და უდიდესი სულიერებით აღსავსე შთამომავლობას. ათეული წელი იმკიდეთ იმ სიკეთითა და სიყვარულით აღსავსე ნაყოფს, რაც თქვენს მოღვაწეობას თან სდევს და ალამაზებს.

იხარეთ, იდღეგრძელეთ, მრავალჟამიერ!

*უღრმესი პატივისცემით: ამირან მანჯგალაძე, ვერუშა კაშაკიძე, ნათელა გელეშვილი, თამაზ მიქაძე, გულნარა კალანდაძე, გიორგი რევიშვილი, ზოია კაშაკიძე, გურამ ლეთოდიანი, გურამ ივანიაძე, ბორის ვოიცხერაშვილი.*

**ქალბატონ თალიკო მიქაძეს!**

პატივისცემით გილოცავთ 90 წლის იუბილეს ჩვენი რაიონის სახელოვანი ინტელიგენციის ღირსეულ წარმომადგენელს. ახსოვს საშუალო და უფროსი თაობის სამტრედიელებს თქვენი შემართება, პროფესიონალიზმი, საქმისადმი დამოკიდებულება.

გვახარებს, რომ კვლავ მხნედ და ხალისიანად გამოიყურებით.

უფალმა გაგაძლიეროთ, იდღეგრძელეთ!

*"სამტრედიის მაცნე"*



ამათ რინგად არ ეყოფათ სტადიონი "ნოუ კამპი", ცხარედ ტელედებატობენ ჰილარი და დონალდ ტრამპი.

# ვულოცავთ!



**მაკა პაპავას!**

დაბადების დღეს გილოცავთ სანდო მეგობარს, კარგ ადამიანს, მოწესრიგებულ თანამშრომელს, მზრუნველ დედას და შვილს. სიკეთე, ბედნიერება და სიხარული დაგებედოს. ჯანის სიმრთელე და უფლის წყალობა არ მოგაკლდეს. შინ და გარეთ თავაწეულს გევლოს ანდრიას კარგი კაცობით ამაყს.

*"სამტრედიის მაცნე"*



**ანა სანაძეს!**

გილოცავთ დაბადების დღეს დიდი სიყვარულით! წარმატებებად დაგებედოს შემოდგომის ფოთოლცვენა. წინსვლა და სიხარული არ მოგაკლოს უფალმა. გაიხარე და გაგვახარე ჩვენი რედაქციისთვის ძალიან საყვარელო ანა.

*"სამტრედიის მაცნე"*



**ირმა ძოძუაშვილს!**

დიდი სიყვარულით და მონატრებით გილოცავთ დაბადების დღეს. ქალური, ოჯახური სიკეთე დაგებედოს, დედისერთას დედა მალე მრავალშვილიანი დედა გახდები. ჯანმრთელობა და ბედნიერება დააბედოს უფალმა შენს შვილებს. ყოველთვის გაგვიხარდება კარგი ამბები შენგან.

*"სამტრედიის მაცნე"*



**ანანო თავაძეს!**

ჩვენო ლამაზო და საყვარელო მეგობარო, გილოცავთ დაბადების დღეს ყველაზე ფერადი ოცნებების ასრულებას, ულევ სიხარულს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას გისურვებთ.

*ანანო, ლანა, სალომე, მარი.*

# იყიდება!

მანქანა _ "ფურგუნი მერსედესი", C კლასი, 1998 წლის ,კარგ მდგომარეობაში. შესაძლებელია განვადება.

**ტელ.: 577 62 47 15.**

15 000 კვ. მ. შემოღობილი მიწა დაფნარში, რკინიგზის ახალი ხიდის მიმდებარედ. მდინარე რიონის პირას.

1500 კვ.მ. გამწვანებულ მიწის ფართობზე განთავსებულია 2 სართულიანი სახლი მანსარდით, აუზით, საუნით, სამეურნეო დანიშნულების შენობით. 1500 კვ.მ. სასაწყობე კაპიტალური ნაგებობა, 150 კვ.მ. საცხოვრებელი ერთსართულიანი შენობა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მასზედ მდგომი ლითონს კარკასიანი სათბურით.

**ტელ.: 5 77 45 47 21 გელა;**
**5 93 17 99 78 ლალი.**

# თუ გამოიცნობთ რამდენს იწონის, ჭიქა, გათავისუფლდებით სტრესისგან...

ერთხელ ფსიქოლოგი სემინარს უძღვებოდა, როცა ხელში წყლიანი ჭიქა აიღო და აუდიტორიას კითხვით მიმართა. ყველა ნაცნობ კითხვას ელოდა: "ჭიქა ნახევრად სავსეა, თუ ნახევრად ცარიელი?", თუმცა პროფესორმა ღიმილით იკითხა; "რამდენს იწონის ჭიქა?"

სტუდენტთა პასუხები ასიდან სამას გრამამდე მერყეობდა. "ამ შემთხვევაში, საერთო წონას მნიშვნელობა არ აქვს", თქვა პროფესორმა. "ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ხანი მიჭირავს ხელში ჭიქა. თუ მხოლოდ ერთი წუთით ეს პრობლემა არაა. მაგრამ თუ ერთი საათით ან დღით დავიჭირე, ეს დისკომფორტს შემიქმნის და რაც უფრო დიდი ხანი გავა, ჩემი მდგომარეობა მით უფრო გაუარესდება". "ნებისმიერ შემთხვევაში, ჭიქის წონა არ იცვლება", განაგრძო პროფესორმა. "მაგრამ რაც უფრო დიდხანს მიჭირავს, მით უფრო მძიმეა ის ჩემთვის. დარდი და სტრესიც ამ წყლით სავსე ჭიქას ჰგავს. იფიქრეთ ცოტა ხნით მათზე და არაფერი მოხდება. იფიქრეთ მათზე მეტი და ისინი ტკივილს მოგაყენებენ. და რაც უფრო ხშირად იფიქრებთ მათზე, მით უფრო ცუდად იგრძნობთ თავს _ მათზე კონცენტრაციით, თქვენ აბსოლუტურად დაკარგავთ საღი აზროვნებისა და მოქმედების უნარს".



გათავისუფლდით სტრესისგან, არ დაგავიწყდეთ ჭიქის ძირს დადება.

# ცხელი წყალი წონაში დასაკლებად

როდესაც გადაწყვეტთ, რომ სადმე ყავა ან კაპუჩინო დალიოთ, კარგად დაფიქრდით, შესაძლოა იმ დასკვნამდე მიხვიდეთ, რომ სახლში ადუღებული ცხელი წყლით უკეთეს შედეგს მიაღწიოთ. ცხელი წყლის დალევა შესანიშნავი გზაა ზამთარში იმისთვის, რომ გათბეთ და ეფექტური გზაა იმისთვის, რომ წონაში დაიკლოთ.

1. დალიეთ დღეში სულ ცოტა 8 ჭიქა, რადგან დარწმუნდეთ, რომ თქვენი სხეული საკმარისი რაოდენობით სითხეს იღებს. ადამიანები, რომლებიც საკმარისი რაოდენობის წყალს დღის განმავლობაში რეგულარულად იღებენ ბევრად უფრო მარტივად იკლებენ წონაში, ვიდრე დანარჩენები, მეტი შედეგისთვის დაურთეთ თქვენს დიეტას ცხელი წყალი.

2. მეცნიერები ამბობენ, რომ ცხელი წყალი ხელს უწყობს საკვების მონელების პროცესს და ეხმარება სხეულს დაწვას კალორია. ყველა სითხეს, რომელსაც დღის განმავლობაში იღებთ საკუთარი ტემპერატურა გააჩნია, მაგალითად, გამაგრილებელი სასმელი აუცილებლად უნდა მიიღოთ ცივ ან გრილ მდგომარეობაში. წყალი კი ის პროდუქტია, რომელიც არჩევანის საშუალებას გაძლევთ. თუ გსურთ წონაში დაკლება, უპირატესობა მიანიჭეთ ცხელ წყალს, რადგან ის ბევრად უფრო ეფექტურად დაგახარჯინებთ ენერგიას, ვიდრე ცივი, ჩვეულებრივი წყალი. ცხელი წყლის მიღება რამდენჯერმე დღის განმავლობაში ნიშნავს, რომ თქვენ წვავთ დამატებით კალორიებს.

3. დალიეთ ცხელი წყალი კვებამდე. კვლევებმა დაადასტურა, რომ წყლის მიღება ჭამამდე დაგეხმარებათ ნაყროვანების შეგრძნების გაჩენაში, შესაბამისად ბევრ საკვებს ვეღარ მიიღებთ. ჭამის წინ შეგიძლიათ ასევე მიიღოთ ცივი წყალიც, დაახლოებით, ერთი ჭიქის რაოდენობის. ეს პროცედურა დაგიცავთ ჭარბი რაოდენობის საკვების მიღებისაგან და დაგეხმარებათ დაიკლოთ წონაში.

4. სცადეთ სხვადასხვა სახის ცხელი წყალი. იმისთვის, რომ უბრალო წყლის სმა არ მოგბეზრდეთ, შეიტანეთ მრავალფეროვნება თქვენი ყოველდღიური ცხოვრების სტილში. დაამატეთ სხვადასხვა მცენარეული ჩაი ან არომატიზატორი, რომელთაც შეუძლიათ სარგებლობა მოუტანონ თქვენს ორგანიზმს. დროთა განმავლობაში შეგიძლიათ ცხელ წყალთან ერთად დაბალკალორიული ტკბილეულიც მიირთვათ.

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა